კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები ოკუპირებულ აფხაზეთში

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

კულტურული მემკვიდრეობის ისტორიული ძეგლები ოკუპირებულ აფხაზეთში

(მოსწავლეთა ეროვნული კონფერენციის მასალები)

თბილისი
2023

UDC: 711.424 (479.224)
ჟ-673

სარედაქციო კოლეგია

მთავარი რედაქტორი: **გურამ ლეგაშვილი**
(სოხუმის სახელმწიფო
უნივერსიტეტის დოქტორანტი)

შემდგენელ-რედაქტორები: **ირაკლი მიქიანი**
ლევან ჟვანია

ტექ. რედაქტორი: **გიგი გელაშვილი**

© საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
ISBN: 978-9941-9802-4-4

საგანმანათლებლო პროექტი „დიდგორელი“ თავის ძირითად საქმიანობასთან ერთად რამდენიმე მნიშვნელოვან აქტივობას ახორციელებს. ერთ-ერთი გულისხმობს მოსწავლეთა კონფერენციების გამართვას.

პირველი კონფერენცია სახელწოდებით - „კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები ოკუპირებულ აფხაზეთში“, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მხარდაჭერით, გაიმართა 2022 წლის 3 დეკემბერს, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო თბილისში, გარდაბანში, თეთრიწყაროში, მარნეულში, ზუგდიდში, მესტიასა და ახალციხეში მცხოვრებმა 17-მა მოსწავლემ, რომლებმაც საგანმანათლებლო პროექტი „დიდგორელის“ ადმინისტრაციასთან და ისტორიის პედაგოგებთან ერთად მოამზადეს თორმეტი მოხსენება.

ვფიქრობთ, ამ გამოცემაში გაერთიანებული ნაშრომები საინტერესო იქნება საზოგადოებისთვის, განსაკუთრებით კი ისტორიით დაინტერესებული ახალგაზრდებისთვის.

ახლო მომავალში, საგანამანათლებლო პროექტი „დიდგორელი“, ისევ თავის პარტნიორთან - ეროვნულ ბიბლიოთეკასთან ერთად, რომლის მხარდაჭერით გამოდის წიგნი, გამართავს მოსწავლეთა მორიგ კონფერენციას, რომელიც მიეძღვნება ოკუპირებული ცხინვალის რეგიონს.

სარჩევი

ქეთი კიკოლაშვილი
ბედიის მონასტერი 8

თიკო ქუხილავა
ილორის წმინდა გიორგის ეკლესია 18

ლიზი ჯაფარიძე
ბიჭვინთის მონასტერი 24

ნანო მარკოზია, ანანო ბენდელიანი, ნინი კუტალია
ამბარას სამეკლესიანი ბაზილიკა 30

ლუკა ანდიაშვილი
ჩხორთოლის ეკლესია 34

ელენე ქავთარაძე
დრანდის ტაძარი 38

ნეკო პარუნაშვილი
ლიხნის ტაძარი 44

გიორგი დავითაშვილი, ნინო ბერაია, მარიამ დალალიშვილი
მოქვის ტაძარი 52

თამარ ნათენაძე, ანი შამუგია
წებელდის ციხე 58

თამარ იბრაგიმოვა
ბზიფის ციხე-სიმაგრე 64

ნოდარ იაშვილი
ბესლეთის ხიდი 68

ლიზი გაბაიძე
აფხაზეთის დოლმენები 74



ბედიის მონასტერი

ქეთი კიკოლაშვილი

გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფ. თელეთის საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლე
ხელმძღვანელები: სოფ. თელეთის საჯარო სკოლის ისტორიის მასწავლებლები - **ლალი ჭინჭარაშვილი, ნინო კენჭაძე.**

ბედიის საეპისკოპოსოს, როგორც კულტურის, ქრისტიანობისა და განათლების კერას, ხანგრძლივი ისტორია აქვს. აფხაზეთში მდებარე, ეს ეროვნული მნიშვნელობის კულტურის ძეგლი საქართველოს ერთიანობისა და განუყოფლობის სიმბოლოს წარმოადგენს.

ბედიის მონასტერი აფხაზთა მეფის, შემდგომში კი ერთიანი საქართველოს პირველი მეფის, ბაგრატ III ბაგრატიონის (975-1014 წწ.) ინიციატივით აიგო (999 წელს), ისევე, როგორც ქუთაისში - ბაგრატის ტაძარი და რაჭაში - ნიკორწმინდა. ამის შესახებ ცნობა დაცულია „დადიანთა ქრონიკაში“, სადაც ვკითხულობთ: „წელსა შჟთ ბაგრატ, ძემან გურგენ მეფისამან კუროპალატმან ბედია აღაშენა“.

გაერთიანებული საქართველოს პირველმა მეფემ, ბედიის ტაძარი თავისი სასახლის ეზოში ააგო, როგორც ეკლესია და მეფეთა საგვარეულო საძვალე: “აღაშენა ყოველთა ხევთა და ადგილთა, განასრულა ყოველთა განგებითა, შეამკო ყოველთა სამკაულითა, ეკლესია აკურთხა და დასვა ეპისკოპოსი.”

ფანასკერტის ციხეში გარდაცვლილი ბაგრატი, მისივე ანდერძით, სწორედ ბედიაში წაასვენეს და ტაძრის შუაგულში, გუმბათქვეშ დაკრძალეს. აქვე განისვენებს დედამისი - დედოფალი გურანდუხტი. ქართველ მეფეთა სულიერი სავანე, მათ საძვალედაც იქცა...

ბაგრატის დროინდელ ეკლესიას ჩვენამდე არ მოუღწევია. არქეოლოგიურმა გათხრებმა ცხადყო, რომ ახლანდელი ნაგებობა ბაგრატისეულ ნაშთებზეა დაშენებული და ახლანდელი ტაძრის დეკორატიულ მორთულობაში ხელმეორედაა გამოყენებული თავდაპირველი ტაძრის რელიეფური სამკაულები.

კედლის ერთ-ერთ წარწერაში ნახსენებია დავით ნარინის (1247-1293 წწ.) ვაჟი, კონსტანტინე I (1293-1327 წწ.), წარწერა ასე იკითხება: „ადიდენ ღმერთმან მეფეთა მეფე კონსტანტინე ძე დავითისა ამენ“. როგორც ჩანს, მას მსხვილი სარესტავრაციო სამუშაოები ჩაუტარებია ბედი-

ის ტაძარში.

ბედიის მონასტერთან დაკავშირებით არსებობს ერთი თქმულება, რომელიც გვხვდება იტალიელი მოგზაურის დონ კრისტოფორო დე კასტელის (1597-1659 წწ.) ჩანაწერებში: „...ერთ დღეს საქართველოს მეფეს, რომელიც მთებში ნადირობდა, თავიდან დოლბანდი გადმოვარდა, სწორედ ამ ადგილას ოქროს ჯვარი უპოვია და უთქვამს - კარგი ბედი მქონიაო. მეფეს უბრძანებია, აქვე აეშენებინათ ეკლესია და გაემდიდრებინათ ძვირფასეულობით“.

ეკლესიის შესახებ კიდევ ერთი საინტერესო თქმულებაა დაცული, რომლის თანახმადაც, მწირები მოგზაურობდნენ ლამაზსა და ხიდივით გადაჭიმულ მთა-გორებზე. მოგზაურობა საოცრად რთული და დამღლელი აღმოჩნდა. დიდი ხნის სიარულის შემდეგ მწირებმა შეამჩნიეს კლდეში გამოკვეთილი ბუნებრივი სიმაგრე და აღტაცებით შესძახეს – „ბედია''. მას შემდეგ ისინი აქ დარჩნენ, ამ ადგილზე კი დიდებული ბედიის ტაძარი აშენდა.

ბედიის წმინდა ღვთისმშობელის ეკლესიას მეფე ბაგრატმა და დედამისმა გურანდუხტმა ოქროს ბარძიმი შესწირეს წარწერით. ბედიის ბარძიმი ქართული ოქრომჭედლობის უბრწყინვალესი ნიმუშია და ის ასეა დახასიათებული “ქართლის ცხოვრებაში”: „უკეთუ ვისმე ენებოს განცდად და გულისხმის ყოფად სიმაღლისათვის დიდებისა მეფობისა მისისა, პირველად განიცადოს სამკაული ბედიის ეკლესიისა”.

ბედიის ცნობილი ბარძიმის გარდა, არსებობდა მეორე ბარძიმიც, რომელიც ასევე ქართული ოქრომჭედლობის უბრწყინვალესი ნამუშევარი იყო. დღეს იგი დაკარგულია და მხოლოდ მისი ფოტოა შემორჩენილი. მასზე ღმრთისმშობელი, ძირითადი ტიპისაგან, ე.ი ვედრების პოზისაგან, განსხვავებულადა გამოსახული. ამიტომაც, ღმრთისმშობლის ეს სახე იყო ორიგინალური და გამოირჩეოდა „გამოცხადების” იშვიათი ხატებით.

ბედია ქართული ჭედური ხელოვნების საუკეთესო

კერა იყო. დიდი პატივით სარგებლობდა მთელ ქვეყანაში ვლაქერნის ბედიასეული ღვთისმშობელი, რომელიც ბიზანტიაში ვლაქერნის მონასტრის კუთვნილებას წარმოადგენდა და რომელმაც 626 წელს ირანელთა შემოსევისას დაიფარა კონსტანტინოპოლი განადგურებისგან...

ისტორიული წყაროების მიხედვით, ბედიის ტაძარში დაცული ყოფილა ქრისტეს ეკლის გვირგვინი და ლურსმნები, რომლითაც მაცხოვარი ჯვარს გააკრეს, აგრეთვე მარიამ ღვთისმშობლის სარტყელი, რომელიც საბერძნეთიდან ჩამოიტანა ბაგრატ IV-ის (1027-1072 წწ.) მეუღლემ, ბიზანტიის იმპერატორის რომან III არგირის (1028-1034 წწ.) ძმიშვილმა - დედოფალმა ელენემ. ბედიის სიწმინდეები და მდიდარი სალარო-განძეულობა ჯერ სამეფო, შემდეგ კი დადიანების ბეჭდით იყო დალუქული..

ბიზანტიის იმპერიის შესუსტების პირობებში, საქართველოს მესვეურებმა ისეთი დიდი მნიშვნელობის ფაქტის განხორციელება სცადეს, როგორიც იყო ლიხთ-იმერეთში ბერძნული ქრისტიანობის შეცვლა ქართული ქრისტიანობით. სწორედ ამ მიზნით ძიღანევის (გუდაყვა) საეპისკოპოსო ბედიაში გადმოუტანიათ.

ბედიელი ეპისკოპოსები, უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდნენ ჩვენი ქვეყნის სასულიერო ცხოვრებაში. „ხელმწიფის კარის გარიგების" მიხედვით, ბედიის ეპისკოპოსი "მოსაფლავე", ანუ სამეფო საფლავის მფარველი ყოფილა. უცხოური წერილობითი წყაროების ცნობით, ბედიელი ეპისკოპოსი სამეგრელოში ყველაზე დიდი ეპარქიის მფლობელი იყო. ეპისკოპოსთა შესახებ ცნობები აქვს დაცული იტალიელ მისიონერ არქანჯელო ლამბერტს (XVII ს.). მათ შესახებ საინტერესო ცნობას იძლევა ასევე მეორე იტალიელი მისიონერი დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი (XVII ს.).

მეფე დავით აღმაშენებელმა (1089-1125 წწ.) საქართველოსა და ქართული ეკლესიის ერთიანობის სიმბოლოდ, ბედიელ მთავარეპისკოპოს სვიმეონს - ბედიელ-ალავე-

რდელის საპატიო წოდება მიანიჭა, რითაც აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს უძლიერესი სალოცავების ერთიანობას გაუსვა ხაზი.

მონასტერი ცნობილი ყოფილა უმდიდრესი ბიბლიოთეკითაც, რაც ერის ცხოვრებაში მის უმნიშვნელოვანეს კულტურულ-საგანმანათლებლო როლზეც მიანიშნებს. მთავარეპისკოპოსმა ანტონ ჟუანისძემ (XVI ს.) ბედიის სამონასტრო კომპლექსში შექმნა შესანიშნავი წიგნსაცავი, სადაც მიმდინარეობდა ძველ ხელნაწერთა განახლება-რესტავრირება, საღვთისმეტყველო წიგნების თარგმნა და წიგნსაცავის შევსება ახალი წიგნებით. ანტონმა წესრიგში მოიყვანა და განაახლა ვარძიის ოთხთავი.

ისტორიამ შემოგვინახა ბედიაში მოღვაწე გადამწერები – ამბროსი კარგარეთელი, საბა ნაჭოფაძე, სიმონ გიორგიძე, რომელთა მეშვეობით შეიქმნა ბედიის ორტომიანი გულანი. ბედიის მიტროპოლიტს, გერმანე ჩხეტიძეს (XVII-XVIII ს.), შავშეთიდან საგანგებოდ ჩამოუყვანია კალიგრაფი გაბრიელ ლომსაძე.

აღსანიშნია ის საინტერესო ფაქტი, რომ 1910-1911 წლებამდე ეკლესიის შესასვლელში იდგა უზარმაზარი საუკუნოვანი ცაცხვი, იმდენად დიდი დიამეტრის, რომ მის ფუღუროში საკმაოდ დიდხანს ცხოვრობდა ექვსი ბერი (ცაცხვი აფხაზებში წმინდა ხედ ითვლებოდა).

მარი ბროსეს ცნობით, ბედიის ეკლესიის დასავლეთ კედლის კუთხის ერთ-ერთ ქვაზე მოთავსებული ყოფილა ასომთავრული წარწერა, რომლის ადგილსამყოფელი ამჟამად უცნობია. წარწერა თავისი შინაარსით, თითქოს, ბედიის ტაძრის აგების პერიოდს უნდა განეკუთვნებოდეს და ამიტომაც მეათე საუკუნით თარიღდება. წარწერაში ნათქვამია: „წ(მიდა)ო ღ(მრთ)ისმშობელო, მე(ო)ხ ექმენ წ(მიდის)ა ამ(ი)ს ს(ა)ყდრ(ისა) ამშ(ე)ნ(ე)ბ(ე)ლს, გ(ა)ლ(ა)ტ(ო)ზთა(უ)ხუც(ე)ს(ს) სჯმ(ეო)ნსა“.

ბროსეს პუბლიკაციის მიხედვით წარწერა გვაუწყებდა სვიმეონ გალატოზთუხუცესის მიერ ბედიის ტაძრის მშე-

ნებლობის ამბავს.

ბედიის სამონასტრო კომპლექსიდან, სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია, მრავალრიცხოვანი ქართული წარწერები, მათ შორის ლიპიდარული, ფრესკული და ჭედური. მათში მოიხსენიებიან ბედიელი ეპისკოპოსები, გიორგი დადიანი და მეფე კონსტანტინე, მცხოვრებნი მეთოთხმეტე საუკუნეში.

კრისტოფორო კასტელმა, როცა ბედია დაათვალიერა, აღნიშნა, რომ აქ იყო: „ვერცხლგადაკრული ჯვარი, მისი სიმაღლე შვიდ ხელისგულზე უფრო დიდია, შიგნითა სივრცეში ძალიან ლამაზი მისტერიებია ჩვენი ძვირფასი მხსნელის უწმინდესი ვნებებისა და ზედ ამოკაწრულია ოქროს ნაირსახეობა". მანვე შემოგვინახა ამავე ტაძრის გრაფიკული ჩანახატი, რომელიც ასე თუ ისე წარმოდგენას გვიქმნის მისი არქიტექტურული იერსახის შესახებ.

რაც შეეხება მხატვრობას, შიდა ინტერიერი მოხატული იყო ბიბლიური სცენებითა და ადგილობრივი საერო პირების გამოსახულებებით. ხელოვნებათმცოდნე რენე შმერლინგმა ბედიაში არსებული მხატვრობა ქრონოლოგიურად 3 ეტაპად დაყო. ეს ფრესკები სხვადასხვა საუკუნეებსა და ეპოქებს განეკუთვნებიან. შმერლინგის დათარიღება ეჭვს თითქმის არ იწვევს, რადგან ემყარება პალეოგრაფიულ მასალებსაც.

გ. ჩუბინაშვილის აზრით, ზომებით, კომპოზიციით და დეკორატიული მორთულობით ბედია ვერ მივიდოდა ბაგრატის ტაძართან, მაგრამ კედლის მხატვრობით, ხელოვნების ძვირფასი ნიმუშებითა და შიდა მოკაზმულობით არ ჩამოუვარდებოდა მას, „ვინ იცის, იგი იქნება სჯობდა კიდეც ოდესღაც ქუთაისის ტაძარს".

პირველი მკვლევარი, რომელმაც ბედიის მხატვრობას მიაქცია ყურადღება, იყო მარი ბროსე. მისი თქმით, ჩრდილოეთ კედელზე შესრულებული ყოფილა ქალისა და ახალგაზრდა ყმაწვილის პორტრეტი. მეცნიერმა გამოაქვეყნა აქვე დატანებული წარწერა, სადაც მოხსენიებულია

მეცამეტე საუკუნის მოღვაწენი: ეკლესიის ქტიტორნი, დედოფალი მარეხი და მისი შვილი, მანდატურთუხუცესი გიორგი დადიანი. ბროსე გამოთქვამდა მოსაზრებას, რომ ეს მხატვრობა შესრულებულია მეთექვსმეტე საუკუნეში, ანტონ იოანისძის მიერ (იგულისხმება ბედიელი მიტროპოლიტი ანტონ ჟვანისძე).

ბროსე ასევე აღნიშნავდა, რომ ერთ-ერთ კედელზე იყო წმინდანთა რიგი: მაკარის, თეოდორეს, თომას, მერანიას გამოსახულებებით. წმინდანთა რიგის ზემოთ მოთავსებული იყო სამების კომპოზიცია. მოპირდაპირე კედელზე კი ზეაპყრობილი ხელებით, საკურთხევლისკენ ლოცვით მიმართული ოთხკაციან ქტიტორთა რიგი. მათ შორის ქალი, რომელსაც თავზე თეთრი მანდილი ეხურა. მასთან წარწერა „ოდა“ იკითხება. (ბროსეს აზრით: «კორ(ო)დაბ»). ქტიტორების თავზე, ჩახატულია ექვსი მედალიონი წმინდანებით. მედალიონების ზემოთ გამოსახული ყოფილა «სერობა სიმონთან“ და ორი კომპოზიცია: «ქრისტე და სამარიტელი ქასთან» და «ბრმის განკურნება». ცოტა უფრო მაღლა მოთავსებულია წრეში ჩახატული ცვილისფერი ჯვარი მოყავისფრო ფონით. იგი მდიდრულადაა მორთული წითელი და ლურჯი ძვირფასი ქვებით. აქვეა, წმინდანების პეტრე-პავლეს გამოსახულება. პეტრეს ხელში უჭირავს ორი დიდი გასაღები. რენე შმერლინგის აღწერით, სამსხვერპლოს შესასვლელის თავზე ყოფილა მაკურთხებელი ქრისტეს გამოსახულება.

ძალიან ცუდადაა დაცული მხატვრობა დასავლეთის კედელზე, სადაც გამოსახულნი არიან ორ-ორი პირი. მარჯვნივ მდებარე წყვილი, გვირგვინებითა და მდიდრული ტანისამოსით შემოსილი, ბიზანტიის იმპერატორი კონსტანტინე I დიდი (306-337 წწ.) და დედადედოფალი ელენე. მათ შორის დიდი ჯვარია მოთავსებული.

დასავლეთ კედელზე მკრთალად გამოსახული ფრაგმენტის მიხედვით (ღვთისმშობელი და ორი ფიგურა კვრით ხელში), ნ. ტოლმაჩევსკაია ასკვნიდა, რომ აქ იყო „სა-

შინელი სამსჯავროს“ სცენა გამოხატული. ასევე შემორჩენილია აბჯარასხმული ანგელოზის ფიგურა, რომლის შემტევი პოზა, შემართული ხმლით, მეცნიერებს აფიქრებინებს, რომ აქ ღვთისმშობლის მიძინების ფრესკა იყო.

ტაძარში, საშუალო ასაკის მამაკაცის პორტრეტია, გვირგვინითა და სამეფო მოსასხამით. მარცხენა ხელი სავედრებლად ზეაღუმართავს, მარჯვენაში კი გუმბათიანი ტაძრის მოდელი უკავია. მის ქვევით წარწერა - „ბაგრატი“ იკითხება.

ბედიის ტაძარში ბაგრატ III-ის ფრესკის არსებობა ხაზს უსვამს მის პიროვნებას, როგორც ტაძრის მაშენებლისას, რაც თავისთავად გვაფიქრებინებს, რომ პორტრეტი მეფის სიცოცხლეშივე შესრულდა.

მართალია, ბაგრატ III-ის პორტრეტმა ჩვენამდე ძლიერ დაზიანებულმა მოაღწია და მასზე განახლების კვალიც შეიმჩნევა, მაგრამ მაინც იკვეთება მეფის გარეგნობის თავისებურებანი. თუმცა, თუ მეფის პორტრეტში, სახეს, განახლების კვალი ეტყობა, ტანსაცმელი პირველადი სახითაა შემორჩენილი. ბაგრატის ლორონი და გვირგვინი მდიდრულადაა შემკული ძვირფასი ქვებითა და მარგალიტებით.

დღესდღეობით, ჩვენთვის უცნობია, თუ რა ვითარებაა ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებულ მონასტერში. "სარესტავრაციო სამუშაოებმა" ტაძარს თავისი კულტურული და არქიტექტურული მნიშვნელობა დაუკარგა - გადაღებილია მონასტრის კედლები და ისტორიული ფრესკები – მათ შორის ბაგრატ III–ის გამოსახულება. ეს ყველაფერი, სეპარატისტების მხრიდან, ბედიაში ქართული კვალის წაშლას ემსახურება, რაც მეტად სამწუხარო ფაქტია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. http://siaxleebii.blogspot.com/p/blog-page_4097.html
2. http://www.bu.org.ge/x743?page=1&tab=2

3. ჯ. შონია. ბედია – საქართველოს ერთიანობის სიმბოლო.
https://burusi.wordpress.com/2009/08/06/edia/



ილორის წმინდა გიორგის ეკლესია

თიკო ქუხილავა

სსიპ სოფიკო ჭიაურელის სახელობის ქალაქ თბილისის 54-ე საჯარო სკოლის IX კლასის მოსწავლე
ხელმძღვანელი: სსიპ სოფიკო ჭიაურელის სახელობის ქალაქ თბილისის 54-ე საჯარო სკოლის ისტორიის მასწავლებელი
მარიამ მამულაშვილი

ცნობილი ტრაგიკული მოვლენების გამო აფხაზეთის ისტორიული ძეგლები თანდათან უფრო შორეული და მიუწვდომელი ხდება ენგურს გადმოღმა დარჩენილი ქართული მოსახლეობისათვის. ეს ფაქტი განსაკუთრებით სავალალოა ომის შემდგომ დაბადებული თაობისათვის, რომელიც მხოლოდ ფოტოებიდან და კინო-არქივის კადრებიდან იცნობს აფხაზეთს. ეს გაუცხოვება კი მხოლოდ მტრის წისქვილზე ასხამს წყალს.

ვფიქრობ, აუცილებელია მსგავსი ღონისძიებების ჩატარება, კომუნიკაცია აფხაზეთში დარჩენილ ჩვენს თანატოლებთან, იმ ფასეულობებისა და პრობლემების შესახებ საუბარი, რომელიც კი არ გვყოფს, არამედ გვაერთიანებს.

ჩემი თემა, როგორც აღვნიშნე, ილორის წმინდა გიორგის ეკლესიას შეეხება. ეს ეკლესია საინტერესოა თავისი ლაპიდარული (ანუ ქვაზე ამოკვეთილი) წარწერებით, ქრისტიანული სიწმინდეებით, ამ ტაძართან დაკავშირებული სასწაულებითა და ისტორიული მოღვაწეებით.

წარწერებს რაც შეეხება, გამორჩეული და საინტერესოა იმით, რომ აქ წარმოდგენილია ქართული დამწერლობის განვითარების სამივე საფეხური (ასომთავრული, ნუსხური და მხედრული), რასაც როგორც ჩემთვის ცნობილია, ანალოგი არ ეძებნება სხვაგან. წარწერები საინტერესოა იმითაც, რომ აქ მოხსენიებულნი არიან ამ ტაძარში მოღვაწე სასულიერო და ტაძრის მშენებლობასთან დაკავშირებული საერო პირები.

ილორი აგებულია XI საუკუნის პირველ მეოთხედში. ეს ეპოქა ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის ჩამოყალიბების უაღრესად საინტერესო პერიოდია ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. ეს ბაგრატ მესამის (975-1014 წწ.) ეპოქაა, რომელიც სამეფო-სამთავროთა პოლიტიკური გაერთიანების გარდა, ხასიათდება ზოგადქართული კულტურული შტრიხებითაც. ამ დროს აგებული უდიდესი კათედრალები არქიტექტურული სტილით და საგანმანათლებლო

საქმიანობის მიმართულებით საერთო ეროვნულ ტენდენციებს მიჰყვებიან და გამოხატავენ. ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ ილორის ეკლესიაც. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ბაგრატი, ტაოელ ბაგრატიონ მეფეთა შთამომავალია, ხოლო დედის ხაზით აფხაზი შავლიანების (აფხაზეთის მეფეები ლეონიდების დინასტიიდან იყვნენ, შავლიანები მხოლოდ მცირე ხნით 15 წელი მართავდნენ აფხაზეთის სამეფოს IX საუკუნის 70-80-იან წლებში გ.ლ.) დინასტიასაც წარმოადგენდა და ეს რეგიონი მისთვის პიროვნულადაც და პოლიტიკურადაც მეტად მნიშვნელოვანი იყო.

ილორის წმ. გიორგის ეკლესია დასავლეთ საქართველოს უმნიშვნელოვანეს სალოცავს წარმოადგენდა. ტაძარი მდიდარი იყო ქრისტიანული სიწმინდეებით. დიდხანს ის ოდიშის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილის ეკლესია-მონასტრების საეკლესიო ნივთების სალაროს წარმოადგენდა. ამ ტაძარში იყო დაცული ცნობილი ბედიის ბარძიმი (X ს.) და სხვა საეკლესიო სიწმინდეები, მათ შორის-ილორის წმინდა გიორგის სასწაულმოქმედი ხატი. როგორც ხატის წარწერა გვამცნობს, იგი ტაძრისთვის ბედიელ ეპისკოპოსს კირილე ჟუანისძეს (XVI ს.) შეუწირავს.

წარწერაში კირილე ჟუანისძესთან ერთად დასახელებული არიან ოდიშის მთავარი გიორგი III დადიანი, რომელიც ოდიშის სამთავროს განაგებდა 1572-1582 წლებში და მისი თანამეცხედრე დედოფალი თამარი.

შევნიშნავთ აგრეთვე, რომ სიუჟეტური თემა – წმ. გიორგი (ფეხზე მდგომი და შეაბჯრული) და სასწაულმოქმედი ხარი სრულიად ორიგინალურია ქრისტიანულ ხელოვნებაში. ის ქართული სინამდვილიდან არის გადმოტანილი და უკავშირდება საკულტო ცერემონიალს, რომელიც გიორგობა დღეს ილორში იმართებოდა. ხატი დაცულია ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში. მოგეხსენებათ, რომ ქრისტიუნულ იკონოგრაფიაში მკაცრად განისაზღვრებოდა ყველა მოტივი და ჩარჩოებს მიღმა

გასვლა შუა საუკუნეების ქრისტიანულ ხელოვნებას არ ახასიათებდა. ქართველ ხელოვანთა ასეთი შემოქმედებითი თავისუფლება ჩვენში ხატწერის განვითარების ორიგინალურ გეზზე უნდა მიუთითებდეს.

ილორის ეკლესიას ბედიის ბარძიმის მსგავსი ვერცხლის ბარძიმიც ჰქონდა

ილორის ტაძარზე განსაკუთრებით ზრუნავდა ოდიშის მთავარი ლევან II დადიანი (1611- 1657 წწ.). მისი ბრძანებითა და სახსრებით შეკეთდა ილორის წმ. გიორგის ეკლესია. ამ დროს ხელახლა გადახურეს საყდარი, ხოლო დასავლეთის კარები ვერცხლით მოჭედეს. ოდიშის მთავარმა ტაძარს შესწირა მამულები, გლეხები, ოქროქსოვილი, შეამკო ჯვარ-ხატებით. ლევან დადიანისა და აფხაზეთის სამთავროს შორის ურთიერთობის გაუარესების შემდეგ ილორი მძიმე დღეში ჩავარდა. ამ დროს გაუქმდა დრანდისა და მოქვის საეპისკოპოსოები, რადგან ოსმალთა მოძალების და აფხაზ მთავართა პროთურქული ორიენტაციის პირობებში ქრისტიანული ეკლესიის ფუნქციონირება შეუძლებელი გახდა.

XVIII საუკუნის 30-იან წლებში ოსმალთა მორიგ თარეშს შეეწირა ილორის ტაძრის მოხატულობა, თუმცა აქ ღვთისმსახურება გრძელდებოდა. იმერეთის მეფეები ყმებსა და მამულებს სწირავდნენ ტაძარს. ილორს რომ მრევლი ყოველთვის ჰყავდა, ამას XIX საუკუნის მეცნიერთა და მოგზაურთა ცნობებიც მოწმობს, სადაც აღნიშნულია, რომ მეგრელები და აფხაზები განსაკუთრებული მოკრძალებითა და პატივისცემით ლოცულობდნენ აქ.

რუსული ექსპანსიის შემდეგ ტაძარს რესტავრაცია ჩაუტარდა. იმერეთის ეპისკოპოს (1860-1896 წწ.) გაბრიელ ქიქოძის ცნობით, აქ დაცული იყო საეკლესიო სიძველეები ქართული წარწერებით, რომლებიც დღეს დაკარგულად ითვლება. ერთ ხანს რუსმა დამპყრობლებმა ილორში დედათა მონასტრის დაარსებაც გადაწყვიტეს, თუმცა მაშინ ნოვგოროდის ეპარქიაში გადასახლებული (1910-1917 წწ.)

ამბროსი ხელაიას (შემდეგში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი და მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი 1921-1927 წწ.) უკომპრომისო ბრძოლამ შედეგი გამოიღო და იმ ეტაპზე რეგიონში კიდევ ერთი ქართული კერა გადარჩა.

საბჭოთა ეპოქაში, გასული საუკუნის 40-50 იან წლებში ილორში ღვთისმსახურება აღდგა. ტაძარს და ფრესკებს რესტავრაცია ჩაუტარდა. აღდგა ილორობის სახალხო დღესასწაულიც (ოღონდ, როგორც საბჭოთა კავშირში ახასიათებდათ, ამ დღესასწაულს რელიგიური ელფერი ჩამოაცილეს და სახალხო ზეიმად აქციეს).

დღევანდელი რუსული ოკუპაციის პირობებში ილორის წმ. გიორგის ეკლესიას რუსული (ხახვისებური) მცირე გუმბათი დააშენეს, ფასადი თეთრად შეღებეს, რომელსაც მოწითალო კანტები დაუყვება. ამით ეკლესიამ დაკარგა ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლისათვის დამახასიათებელი ნიშნები, დამახინჯდა მისი იერსახე და ერთ-ერთ რიგით რუსულ სამრევლო, სოფლის ეკლესიას დაემსგავსა. აღმოსავლეთის ფასადი, სადაც ქართული წარწერები იყო ამოკვეთილი, მთლიანად შელესილია. შეიცვალა ეკლესიის ინტერიერიც, ფრესკებიც შეათეთრეს.

ილორის წმ. გიორგის ეკლესიის არქიტექტურული იერსახის შეცვლამ შეაშფოთა როგორც ქართული, ისე აფხაზური საზოგადოება. ქართულმა მხარემ სცადა საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით შეაჩეროს ქართული კვალის წაშლა ენგურს გაღმა დარჩენილ ქართულ მიწებზე, თუმცა, ფაქტობრივად, ეს შეუძლებელია. როგორც ჩანს, მტერს კარგად აქვს გაცნობიერებული წარსულის დიდი მნიშვნელობა აწმყოსა და მომავლისათვის. სწორედ ამიტომ ჩვენმა საზოგადოებამ, ჩვენმა თაობამ ყველაფრის ფასად უნდა სცადოს, რომ განსაკუთრებით ოკუპირებულ რეგიონებში ქვებმაც იღაღადონ სიმართლე ჩვენი ისტორიის შესახებ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ს. მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941.
2. ვ. სილოგავა. დასავლეთ საქართველოს წარწერები. ქართული ლაპიდარული წარწერების კორპუსი II, თბ., 1980.

ბიჭვინთის მონასტერი

ლიზი ჯაფარიძე

სსიპ მესტიის მუნიციპალიტეტის პირველი საჯარო
სკოლის XI კლასის მოსწავლე
ხელმძღვანელი: ისტორიის მასწავლებელი - **ლევან ჟვანია**

აფხაზეთი მდიდარია ისტორიულ-არქეოლოგიური და რელიგიური კულტურის ძეგლებით. აქ ქართველებმა საუკუნეების განმავლობაში შექმნეს კულტურის უნიკალური ნიმუშები. სამწუხაროდ, მტრის შემოსევებისა და ოკუპაციის შედეგად ბევრი მათგანი განადგურდა, გაიძარცვა ეკლესია-მონასტრები, დაინგრა ისტორიული ძეგლები. აფხაზეთის ერთ-ერთი უძველესი და სხვებისგან განსაკუთრებით გამორჩეული ძეგლი ბიჭვინთის ღვთისმშობლის ტაძარია, რომელიც X საუკუნით თარიღდება. როგორც თეიმურაზ ბატონიშვილი გადმოგვცემს, მის ადგილას ძველად ივერიელთა მთავარი სალოცავი "ბოჩის" ტაძარი მდგარა. ბიჭვინთა უაღრესად რთულ და საინტერესო ძეგლთა კომპლექსს წარმოადგენს. იგი ქრისტიანული თვალსაზრისით განსაკუთრებულ ადგილს იკავებს არა მარტო აფხაზეთის, არამედ სრულიად საქართველოს საეკლესიო წიაღში.

ძალიან საინტერესოა ბიჭვინთის ტაძრის ისტორია, რომელიც დაახლოებით ახ. წ. I ს-დან, ჯერ კიდევ ანდრია პირველწოდებულის საქართველოში ქრისტიანობის ქადაგებიდან იღებს სათავეს. 325 წელს ნიკეის პირველ მსოფლიო საეკლესიო კრებაზე ბიჭვინთის ეპისკოპოსი სტრატოფილე მონაწილეობდა. ეს ფაქტი მიუთითებს იმაზე, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მაშინდელ ქრისტიანულ სამყაროში ბიჭვინთის საეპისკოპოსო კათედრას, არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ ქრისტიანულ სამყაროში.

ტაძარი რესტავრირებულ იქნა XIX საუკუნის 30-იან წლებში რუსეთის იმპერატორის ნიკოლოზ I-ს (1825-1855 წწ.) ბრძანებით, რომლის დროსაც, როგორც ჩანს, დაშვებული იყო სერიოზული შეცდომები. შეცვალეს გუმბათის ფორმა, შელესეს და შეათეთრეს ფასადები, რის გამოც ნაგებობამ სახე იცვალა, დამახინჯდა და ძველი მოხატულობა განადგურდა. წმინდა სინოდმა განიზრახა ბიჭვინთის ტაძრის აღდგენა, მაგრამ კავკასიის მაშინდელმა

მთავარმართებელმა (1837-1842 წწ.) გენერალმა ე. გოლოვინმა ამაზე უარი თქვა, რადგან მის გარშემო მოსახლე აფხაზები უკვე მუსულმანები იყვნენ და მათ გაქრისტიანებას დიდი დრო დასჭირდებოდა. ამასთანავე, ტაძრის აღდგენა მეტად ძვირი დაჯდებოდა. მისი განახლება დაიწყო მხოლოდ 1845 წელს, მ. ვორონცოვის კავკასიაში მმართველობისას (1844-1854 წწ.). აკადემიკოს გიორგი ჩუბინაშვილის რეკომენდაციითა და პროფესორ ვახტანგ ცინცაძის ხელმძღვანელობით, ტაძარში ჩატარდა სარესტავრაციო სამუშაოები, მოიხსნა შელესილობა, გამოიცვალა სახურავი, მოწესრიგდა ეზო და აღდგა ტაძრის თავდაპირველი იერსახე. სამუშაოების შესრულების დროს ტაძრის ინტერიერში აღმოჩნდა ძველი მოხატულობის მცირე ფრაგმენტები. ტაძრის ირგვლივ მრავალი სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობაა: პატარა ეკლესიები, სამლოცველოები, მონასტრის საცხოვრებელი და სამეურნეო შენობები.

ტაძარი ჯვარგუმბათოვანი ნაგებობაა და დასავლეთით აქვს ნართექსი, რომელიც საქართველოში იშვიათათ გვხვდება. აქვს სამი შვერილი აფსიდა. ცნობილია ბიჭვინთის მოზაიკური იატაკი, რომელიც მეოთხე საუკუნეში აგებულ ბაზილიკური ტიპის ეკლესიას ამკობდა. დღეს მათი დიდი ნაწილი თბილისის შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში ინახება. ტაძარი აგებულია ბიზანტიისთვის დამახასიათებელი ტექნიკით, ანუ აგურისა და ცემენტის რიგების მონაცვლეობით, ამიტომაც ძალიან ხშირად საუბარია იმაზე, რომ აფხაზეთის არქიტექტურა და კერძოდ ბიჭვინთის ტაძრის არქიტექტურა წმინდა ბიზანტიური მოვლენაა და არ არის კავშირში საქართველოს სხვა ნაწილების არქიტექტურასთან. თუმცა, როგორც საქართველოს ყველა რეგიონის, ისე აფხაზეთის არქიტექტურაც თავის გამორჩეულ ნიშნებს ატარებს. აფხაზეთის ეკლესია-მონასტრების ერთი ნაწილის მსგავსება ბიზანტიურთან არ უნდა იწვევდეს გაკვირვე-

ბას, რადგან საქართველო საუკუნეების განმავლობაში, არა მარტო პოლიტიკურ, არამედ კულტურულ გავლენას განიცდიდა ჯერ რომის, ხოლო შემდეგ ბიზანტიის იმპერიისაგან.

ტაძრის დასავლეთ მხარეს წარმოდგენილია ჯვარცმა. ზედა ნაწილში, სამხრეთ მხარეს წარმოდგენილია იესო ქრისტეს ჯვარზე გაკვრა, ხოლო მის მოპირდაპირე ჩრდილოეთ მხარეს ჯვრიდან გარდამოხსნის სცენაა გამოსახული. ტაძრის ზედა მხარეს აღდგომის კომპოზიცია იკავებს, ქვემოთ კი წარმოდგენილია ცალკეული წმინდანათა ფიგურები, რომელთაგან მხოლოდ რამოდენიმეა შემორჩენილი და რომლებიც თარიღდება XVI საუკუნის მეორე ნახევრით. ასევე, ჩრდილოეთ მახარეს შესასვლელის პირდაპირ მოთვასებულია მოციქულების, წმინდა ანდრია პირველწოდებულისა და წმინდა სვიმეონ კანანელის გამოსახულება, რომელთა პრორტრეტები თავის მოხაზულობაში კედლის სიბრტყეში არის ჩაწერილი იმ ადგილას, სადაც მიდგმულია სამარხი. ეს არის სამარხი პორტრეტები, როგორც ეს იყო მიღებული ბიზანტიაში.

არის ვერსია, რომ ამ ტაძარში იყო წმ. იოანე ოქროპირის სამარხი, რაც დაშორებულია სინამდვილეს, ვინაიდან წმ. იოანე ოქროპირის საფლავი არის აფხაზეთის კამანში.

მკვლევართა აზრით, X საუკუნეში აგებული ბიჭვინთის ჯვარგუმბათოვანი ტაძარი წარმოადგენს კონსტანტინოპოლის აია სოფიას ტაძრის შემცირებულ მოდელს და იგი იყო კიდეც წმ. სოფიას სახელობის ტაძარი.

დღესდღეობით, სამწუხაროდ, ბიჭვინთის ტაძარი რუსული ოკუპაციის ძალების ხელთაა. აქიდან გამომდინარე, ერთი მხრივ, ქართველ მომლოცველებსა და სასულიერო პირებს არ ეძლევათ საშუალება მოილოცონ ეს უდიდესი ისტორიული და სულიერი საგანძური, ხოლო, მეორე მხრივ, საქართველოს ეროვნული მნიშვნელობის კულტურის უძრავ ძეგლს, ბიჭვინთის ტაძარს არსებულ

ვითარებაში უპრეცედენტო საფრთხე ემუქრება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. http://www.ambioni.ge/biwvintis-rvtismsoblis-saxelobis-eklesia



ამბარას სამეკლესიანი ბაზილიკა

ნანო მარკოზია, ანანო ბენდელიანი, ნინი კუტალია

სსიპ მერაბ კოსტავას სახელობის ზუგდიდის მე-2 საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლეები ხელმძღვანელი: სსიპ მერაბ კოსტავას სახელობის ზუგდიდის მე-2 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი - **სალომე კვატიძე**

საქართველო ოდითგანვე გამოირჩეოდა ხუროთმოძღვრული ძეგლების მაღალი დონის მაჩვენებლით. ყოველ მხარეში მოიძებნება ეკლესია-მონასტრები განსაკუთრებული თავისებურებებით, მაღალმხატვრულობითა და ისტორიული მნიშვნელობით. ძალიან საინტერესოა გარდამავალი ხანის არქიტექტურა. ამ დროს გვხვდება გეგმებისა და ხუროთმოძღვრების მრავალფეროვნება.

ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ საჭირო გახდა სამლოცველოები. მას შემდეგ კი, რაც სარწმუნოებამ მყარად მოიკიდა ფეხი, უნდა შექმნილიყო საგანგებო შენობა, რომელიც უამრავ მლოცველს დაიტევდა. ყველასათვის კარგად ნაცნობი ბაზლიკაც სწორედ ამ ფონზე შეიქმნა. შემდგომში კი საფუძველი ჩაეყარა ახალ თავისებურ ვარიანტს - სამეკლესიან ბაზილიკას, რომლის ნიმუშებსაც ვხვდებით აფხაზეთში, ქართლსა და კახეთში.

სამეკლესიანი ბაზილიკა ჩვეულებრივი სამნავიანი ბაზილიკისგან იმით განსხვავდება, რომ შიგნით ნავები არა ბოძებით, არამედ კედლებითაა გათიშული. ეს განაპირობა იმან, რომ სურდათ, ყოველი წირვისთვის ცალკე საკურთხეველი ჰქონოდათ. სამეკლესიანი ბაზილიკის ერთ შენობაში გაერთიანებულია სამი დამოუკიდებელი სამლოცველო. სამი წაგრძელებული სადგომი ერთმანეთთან დაკავშირებულია კარებით. შუა სადგომი დანარჩენებთან შედარებით, უფრო მაღალი და ფართოა, რაც ნამდვილი ბაზილიკის იერს სძენს. ეს თემა საქართველოს გარეთ უცნობია. მე-7 საუკუნის შემდეგ განიცდის გარკვეულ ევოლუციას და იარსებებს მე-10 საუკუნემდე.

ჩვენთვის განსაკუთრებულად საინტერესოა აფხაზეთი, ჩვენი დაკარგული მხარე, სადაც ამ ტიპის ოთხი ძეგლია შემორჩენილი. ერთ-ერთია ამბარას ეკლესია, რომელიც ქვარგვალითა და შირიმი ქვითაა ნაგები. აქ შუა „ეკლესია“ მკვეთრად უპირისპირდება გვერდით „ეკლესიებს“. გამოირჩევა სიმაღლითა და სიგანით. კამარა

ეყრდნობოდა თაღების პილასტრებს. სამხრეთი ფრთა ორად იყოფა და მთავრდება აღმოსავლეთ აფსიდით. ნართექსი, შესასვლელი სათავსი ცენტრალურ დარბაზს უკავშირდება სამი თაღოვანი გასასვლელით, შუა ნაწილზე კი ზედა გალერეაა მოთავსებული, რომელიც განკუთვნილია მგალობელთათვის.

ამბარაში შემონახულია ადრინდელი შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების კომპლექსი - ეკლესია (VII-VIII სს.), გალავანი (შუა საუკუნეები) და საერო შენობების ნანგრევები (X ს.). მთავარი სანაოსნო კამარა აღდგენილია გვიან შუა საუკუნეებში. ძველისძველი ქვები თითქმის პირვანდელი სახით არის შემორჩენილი. სამწუხაროდ, ამბარას ეკლესიას ბუნებამ და დრომ თავისი კვალი დაამჩნია. ჩამოშლილი კამარა, ხავსმოკიდებული კედლები, რთულად მისასვლელი გზა, ცარიელი შემოგარენი. მიუხედავად ამისა, ტაძარს შენარჩუბული აქვს თავისი პირვანდელი ელფერი -სურათებიდანაც კი იგრძნობა იქაური მშვიდი გარემო, რომელსაც მლოცველები ხშირად სტუმრობენ სიძველის, მნიშვნელობისა და ღვთიური მადლის შესაცნობლად.

ამჟამად ამბარას სამეკლესიანი ბაზილიკის ტერიტორია ოკუპირებულია რუსეთის მიერ, რაც ერთ-ერთი მიზეზია ქართველი ხალხის დიდი გულისტკივილისა, ვინაიდან არ გვაქვს შესაძლებლობა, მოვინახულოთ კულტურული მნიშვნელობის ძეგლი, რომელსაც სჭირდება არსებულის შენარჩუნება და დაზიანებულის აღდგენა.

ჩვენი ქვეყნის მძიმე ისტორიული ხვედრის მოწმეა სწორედ ეკლესია-მონასტრები, ციხის ნანგრევები, ძველი სამრეკლოები, რომლებიც ყოველთვის გვიყვება რა გამოგვივლია, სად ვართ ან სად უნდა ვიყოთ. ამბარას სამეკლესიანი ბაზილიკა ნიმუშია ჩვენი დიდი წარსულის, დიადი შესაძლებლობების, ღრმადმორწმუნეობისა და მარადიულობის წარმავლობისა. ამბარას ეკლესია დიდი მიზეზია იმ სულიერი ბრძოლისა, რომლის გარეშეც ვერც

დავიბრუნებთ და ვერც აღვაშენებთ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. http://www.novators.ge/dzeglebi.php?id=47
2. გ. აბრამიშვილი, პ. ზაქარაია, ი. ციციშვილი. „ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია“. თბ., 2000.

ჩხორთოლის ეკლესია

ლუკა ანდიაშვილი

მარნეულის მუნიციპალიტეტის მე-5 საჯარო სკოლის XII კლასის მოსწავლე ხელმძღვანელი: მარნეულის მუნიციპალიტეტის მე-5 საჯარო სკოლისისტორიის მასწავლებელი - **ნატო ტალიკაძე**

ჩხორთოლის ეკლესია მდებარეობს აფხაზეთის ტერიტორიაზე, სოფელ ჩხორთოლის ჩრდილო-დასავლეთით, 5 კმ-ის მანძილზე, მდინარე ოჯოხეს შენაკადის - ჯუხუს სიღრმეში, მდინარის მარცხენა მხარეს. ეკლესია ფუნქციონირებდა XVI საუკუნემდე, თურქების შავიზღვისპირეთში გაბატონებამდე. საკუთრივ, სახელწოდება ჩხორთოლი მეგრული წარმოშობისაა და ცხრა თვალს ნიშნავს.

ჩხორთოლის ეკლესია გარდამავალი ხანის დარბაზული ტიპის ძეგლია. ეკლესია თარღდება IX-X საუკუნეებით და როგორც ამ პერიოდის ძეგლებს შეეფერებათ, მოკლებულია ჩუქურთმას, სკულპტურასა და ფრესკას. ჩხორთოლის ეკლესია ფუნდამენტურად არის დაკავშირებული ქართული ხუროთმოძღვრების ევოლუციასთან.

ეკლესიას შემოვლებული ჰქონდა გალავანი, რომლისგანაც მხოლოდ ნარჩენებია შემორჩენილი, გალავნის აღმოსავლეთ კედელთან მოახლოებულია ეკლესიის ჩრდილო კედლის ნანგრევი და გალავნის გარეთ მდებარე ოთხკუთხა კოშკი. სოფელ ჩხორთოლის ცენტრში მდებარეობდა კიდევ ერთი ეკლესია, რომელიც XIX საუკუნის ბოლოს აშენდა ადგილობრივი თავადებისა და „ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების“ მიერ.

ჩხორთოლის დარბაზულ ეკლესიაზე მცენარეთა საფარის მოხსნის შემდეგ გამოვლინდა ოთხკუთხა ნაგებობის მიწისქვეშ მოქცეული სხვადასხვა სიმაღლის კედლების ფრაგმენტები. გამოიკვეთა ეკლესიის სამნაწილიანი დაგეგმარება, რომლის ცენტრალური სათავსო, სწორკუთხა მოყვანილობისაა და ფართო ნალისებური აბსიდითაა გამოყოფილი. ხუროთმოძღვრული კომპოზიციით ჩხორთოლის ეკლესია ანალოგიას პოულობს ილორის და ლაშქენდარის ეკლესიებთან. ჩხორთოლის ეკლესიის მსგავსი დარბაზული ტიპის ნაგებობები საქართველოს ყველა რეგიონში გვხვდება.

ჩხორთოლის ეკლესია გვიჩვენებს, რომ საქართველოს

გაერთიანებამდე დასავლეთ საქართველოში აგებდნენ აღმოსავლეთ საქართველოსთვის დამახასიათებელ მხატვრულ მისწრაფებათა გავრცელების მაჩვენებელ საკულტო ნაგებობას, რაც ადასტურებს, რომ საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანებას წინ უსწრებდა კულტურული და რელიგიური ერთიანობა.

სამწუხაროდ, აფხაზეთის ტერიტორია ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ, რის გამოც ეკლესიის შესწავლა და შესაბამისი სამუშაოების ჩატარება შეუძლებელია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. რ. ხვისტანი. ჩხორთოლის ეკლესია. აფხაზეთის არქეოლოგიური ძეგლები და პრობლემები. ტ. 1. 2006, გვ. 128-132.

2. nplg.gov.ge - ჩხორთოლის ეკლესია.



ᲓᲠᲐᲜᲓᲘᲡ ტᲐᲫᲐᲠᲘ

ᲔᲚᲔᲜᲔ ᲥᲐᲕᲗᲐᲠᲐᲫᲔ

სსიპ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის დაბა მანგლისის საჯარო სკოლის XII კლასის მოსწავლე ხელმძღვანელი: სსიპ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის დაბა მანგლისის საჯარო სკოლის ისტორიის მასწავლებელი - **მაცაცო დემეტრაშვილი**

სოხუმიდან 18 კილომეტრის დაშორებით, სამხრეთ-აღმოსავლეთით, მდ. კოდორის მარჯვენა ნაპირზე ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი დრანდის ტაძარი და მისი სამონასტრო კომპლექსი მდებარეობს.

დრანდის ტაძარსა და მის სამონასტრო კომპლექსს მდ. კოდორის მარჯვენა ნაპირზე, ზღვის მახლობლად მთის წინა მაღლობი უჭირავს. ვახუშტი ბატონიშვილის (1696-1758) ცნობით: „...მოქვის მდინარის დასავლით დის კოდორის მდინარე. ამ წყალზედ არს ეკლესია დრანდას, მთაში, გუმბათიანი, შუენიერი, დიდშენი. ზის ეპისკოპოსი, მწყემსი, კოდორსა და ანაკოფიის შორისისა ადგილთა“.

დრანდის ტაძარი აგებულია ღვთისმშობლის სახელზე. იგი რამდენჯერმე არის გადაკეთებული, რამაც მისი შესწავლა გააძნელა. დიდი ხნის განმავლობაში მიტოვებული და გაპარტახებული ტაძარი 1885 წელს ათონის მთიდან ჩამოსულმა რუსმა ბერებმა აღადგინეს და მონასტერი დაარსეს. XX საუკუნის დასაწყისში ტაძარი ხელახლა გადააკეთეს. ტაძრის გადაკეთებისას გუმბათს დაადგეს ხის კონსტრუქციის რუსული ძეგლებისთვის დამახასიათებელი ე. წ. „ხახვის თავი“, გააფართოვეს სარკმელები, დასავლეთით გამართეს ხის პატრონიკენი (მეორე სართული) და სხვა. ძეგლის შიგნით და გარეთ ნალესობით გამოყვანილმა დეკორმა მისი თავდაპირველი ხუროთმოძღვრული სახე შეცვალა. შიგნიდან და გარედან ტაძარი კირით შეათეთრეს, რის შედეგადაც ფრესკული მხატვრობის შემორჩენილი ნაშთებიც გაუჩინარდა.

XIX საუკუნეში დრანდის ტაძრის აგების დრო ცნობილი არ იყო და მას რუსი მკვლევარები მიახლოებით VIII-X ან XI საუკუნეებით ათარიღებდნენ. XX საუკუნის დასაწყისში გიორგი ჩუბინაშვილმა ტაძრის ხუროთმოძღვრული ანალიზის შედეგად იგი მიიჩნია მცხეთის ჯვრის (VI ს.) ვარიაციად, მასთან დაკავშირებულ, მაგრამ შესამჩნევად დამოუკიდებელ ნაგებობად, რომელშიც ქართულთან ერთად, ბიზანტიური ხასიათის მხატვრული ელემენტებია

შერწყმული.

დრანდის სამონასტრო კომპლექსის ცენტრში გუმბათიანი ტაძარია, რომელიც აგურითა და რიყის ქვითაა აგებული. იგი უახლოვდება მცხეთის ჯვრის ტიპს. გეგმაში ჯვრის მკლავები სამივე მხრიდან სწორკუთხედი ფორმისაა. ხელოვნებათმცოდნე რუსუდან მეფისაშვილი ძეგლს VIII საუკუნის მიწურულით, „აფხაზთა“ სამეფოს ჩამოყალიბების პერიოდით ათარიღებს. მისი მოსაზრებით, ტაძარი აგებულია მოწვეული ხელოსნის მიერ. რაც შეეხება ძეგლის ხუროთმოძღვარს, ის ადგილობრივია, რადგან თუ ძეგლში ერთი მხრივ აშკარაა ბიზანტიური საფუძველი, მეორე მხრივ ჩანს, რომ ხუროთმოძღვარი სისხლხორცეულად არის ჩართული იმ შემოქმედებით პროცესებში, რომელიც გარდამავალი პერიოდის (VIII-IX სს.) საქართველოს ძეგლებს ახასიათებს. მკვლევართა ნაწილი ტაძრის რ. მეფისაშვილისეულ დათარიღებას, სრულიად საფუძვლიანად, არ იზიარებს. მ. ხოტელაშვილისა და ა. იაკობსონის აზრით, ტაძრის დათარიღებისათვის მნიშვნელოვანია მისი თანმხლები მასალა - კერამიკა, რომელიც V-VI სს. თარიღდება. აქედან გამომდინარე, მ. ხოტელაშვილი და კ. იაკობსონი ტაძარს VI საუკუნეს აკუთვნებენ. მ. ხოტელაშვილი მიიჩნევს, რომ ტაძარი ბიზანტიელების მიერაა აგებული. ა. იაკობსონის აზრით, დრანდის ტაძრის არქიტექტურა ჰგავს შესაბამისი პერიოდის ბიზანტიური ძეგლების არქიტექტურას. ბოლო ხანს, დრანდის ტაძრის აგების თარიღად VI-VII საუკუნეების მიჯნა სახელდება.

მეცნიერთა მცირე ნაწილი მიიჩნეს, რომ დრანდა სწორედ ის ტაძარია, რომელიც ბიზანტიის იმპერატორ იუსტინიანე დიდის (527-565 წწ.) ბრძანებით, აფხაზეთში 551 წელს აიგო და თავიდან კონსტანტინოპოლის ეკლესიის, აბაზგიის ეპარქიის დაქვემდებარებაში იყო. თუმცა, ეს ჰიპოთეზა ფართოდ გაზიარებული არ არის.

მეცნიერთა მეორე ნაწილი დრანდას VI-IX საუკუნეების ქართულ ძეგლად მიიჩნევს. თუმცა, დღეს ამ მოსაზრებას

კატეგორიულად ემიჯნებიან აფხაზი მეცნიერები.

1637 წელს, ტაძარი მთლიანად გაძარცვეს და გადაწვეს თურქმა დამყრობლებმა. 1878 წელს, რუსეთ-თურქეთის ომის დროს ტაძარი ხელმეორედ დაიწვა და ფრესკები განადგურდა. 1880 წლიდან, რუსული კოლონიური მმართველობის პერიოდში, სხვა ტაძრებთან ერთად ხდება დრანდის „რუსიფიკაციაც“.

1928 წელს კომუნისტებმა დრანდის ტაძარი გააუქმეს, მონასტრის შენობის ნაწილი, სასჯელაღსრულების დაწესებულებად, ციხედ გადაკეთდა, რომელიც დღემდე მოქმედებს, ნაწილში კი გულრიფშის რაიონის რაიკომმა და სკოლა-ინტერნატმა დაიდო ბინა.

1978 წელს არქიტექტორ-რესტავრატორ ვ. ცინცაძის ხელმძღვანელობით დრანდის ტაძრის სარესტავრაციო სამუშაოები დაიწყო. ამ დროს მოხდა ხუროთმოძღვრული ძეგლის გაწმენდა და გამოკვლევა–შესწავლა, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა მისი თავდაპირველი სახის აღდგენა. ტაძარს რესტავრაცია ჩაუტარდა და მან თავდაპირველი სახე დაიბრუნა. 2002 წლიდან დრანდის ტაძარში ღვთისმსახურება აღესრულება. იმავე ხანებში ტაძარში სარესტავრაციო სამუშაოები ჩატარდა, რამაც მისი ინტერიერი და ექსტერიერი შეცვალა. ტაძარში მოეწყო სანათლავი, ფასადი შეათეთრეს, ტაძრის ეზოში აააგეს სატრაპეზო და სასტუმრო. 2006 წელს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით ტაძარს ეროვნული მნიშვნელობის კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსი მიენიჭა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ძველი დრანდის ტაძრის ნანგრევებზე ახალი მონასტრის აგების განზრახვის თაობაზე. დროება. N107. 1883 (9 ივნ.), გვ. 1-2.
2. დრანდა. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. III. თბ., 1978, გვ. 633-634.
3. დრანდის ტაძარი. კვალი. N13. 1893, გვ. 12.
4. დონ კრისტოფორო დე კასტელი. ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ. თბ., 1976. გვ. 180, 477.
5. კ. მაჭავარიანი. სოხუმი. გაზ. „ივერია“. N160. 1886 (25 ივლ.), გვ. 2.
6. თ. მიბჩუანი. აფხაზეთის მატერიალური კულტურის ძეგლები და ეპიგრაფიკა (IX-XV სს.). I. თბ., 2003. გვ. 208-209.
7. შინაური ქრონიკა. დროება. N212. 1883(25 ოქტ.). გვ. 3.

8. შინაური ქრონიკა. დროება. N44. 1884(26 თებ). გვ. 1-2.
9. კ. ჩიჩუა. დრანდის მონასტერი. ივერია. 1900(27 ივნ.). გვ. 1-2.
10. დრანდის ეკლესია. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა. აფხაზეთი. ტ. I. თბ., 2007. გვ. 18-19.
11. გ. როგავა. რელიგია და ეკლესია აფხაზებში. თბ., 2007. გვ. 153
12. გ. როგავა. აფხაზეთის ისტორიის საკითხები. თბ., 2009. გვ. 153-154.
13. გ. ჭედია. რესტავრაცია თუ... . გაზ. „საბჭოთა აფხაზეთი". 1971. 1 ივნისი.
14. ბ. ხორავა. დრანდის საეპისკოპო. საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების 2000 წელი. სამეცნიერო კონფერენცია. მართლმადიდებლობა აფხაზეთში და ეროვნული თვითიდენტიფიკაციის საკითხები. მოხსენებების კრებული. თბ., 2005. გვ. 87-100.
15. ვ. ზუხბაია. ქართული კულტურის ძეგლები აფხაზეთში. ძეგლის მეგობარი. N1(108). 2000. გვ. 29-34.
16. ნ. ელიზბარაშვილი, ბ. კუპატაძე. მოქვი, ილორი და დრანდა. საქართველოს 100 ღირსშესანიშნაობა. თბ., 2011. გვ. 112.



ლიხნის ღვთისმშობლის ტაძარი

ნეკო პარუნაშვილი

ქალაქ ახალციხის მე-5 საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლე
ხელმძღვანელი: ისტორიის მასწავლებელი - **ლევან ჟვანია**

აფხაზეთში, გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნში მდებარეობს ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლი ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი, რომელიც მეცნიერების ვარაუდით X საუკუნის დასასრულსა და XI საუკუნის დასაწყისშია აგებული. თუმცა, მისი ზუსტი დათარიღება დღეს ძალიან რთულია. ტაძარი საინტერესოა და დიდ ყურადღებას ჯერ მარტო იმიტომ საჭიროებს, რომ დღემდე პრაქტიკულად პირველადი სახით არის შემორჩენილი.

ტაძარი გარედან უბრალოა, მოპირკეთებულია სუფთად გათლილი, მოყვითალო ქვის კვადრებით. არქიტექტორმა ოქროს შუალედი შეინარჩუნა მისი სიმაღლისა და მოცულობის საკითხში, რაც ტაძრარს ჰარმინიულობასა თუ დახვეწილობას ჰმატებს. XIV საუკუნეში ტაძარი გადაუკეთებიათ, ჩრდილოეთითა და სამხრეთით ეგვტერები მიუშენებიათ. ტაძრის ინტერიერი მთლიანად შელესილი და მოხატული ყოფილა, რაზეც ნათლად მეტყველებს შემორჩენილი ფრაგმენტები. მოხატულობა ყურადღებას იქცევს ფიგურების დინამიკურობითა და ექსპრესიულობით. როგორც ირკვევა, ტაძარი პირველად X-XI საუკუნეების მიჯნაზე მოუხატავთ, მეორედ კი XIV საუკუნეში, როდესაც ტაძარი გადააკეთეს. სატაძრო კომპლექსში შედის ორიარუსიანი სამრეკლოც. ამასთანავე მის მახლობლად არის აფხაზეთის მთავართა ორსართულიანი სასახლის ნანგრევები, რომელიც გვიანდელი შუა საუკუნეების საერო ხუროთმოძღვრების საინტერესო ნიმუშია. ნიშანდობლივია, რომ ლიხნის განაპირას, მდ. ხიფსთას მარცხენა ნაპირზე აღმართულია გალავნით შემოზღუდული VII-VIII სს. ციხე-სიმაგრის (აბაანთა) კომპლექსი. მის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში შემორჩენილია სამეკლესიანი ბაზილიკის ნანგრევები.

ლიხნის ღვთისმშობლის ეკლესიის სიძველეები პირველად ფრანგმა ქართველოლოგმა მარი ბროსემ შეისწავლა. 1848 წლის აპრილში მანვე გადმოწერა ტაძრის

ძველი ქართული წარწერები. იმხანად ლიხნს თურქულ სახელს სოუკსუს ეძახდნენ, რაც „ცივ წყაროს“ ნიშნავს, და მარი ბროსეც ასე იხსენიებს მას. ეკლესიის თაღები ჯვრის ფორმას ქმნიან. ტაძრის შიგნით დასავლეთის კედელს მიუყვება ქორედი. საკურთხეველი მოხატულია ლამაზი ფრესკებით, რომლებიც სხვადასხვა ბიბლიურ თემას ეძღვნება“. მოგვიანებით ტაძარი მოინახულეს და აღწერეს დიმიტრი ბაქრაძემ, პრასკოვია უვაროვამ, ექვთიმე თაყაიშვილმა.

XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დასაწყისში ტაძრის შეკეთებისას, მისი კედლები შელესილობითა და კირის სქელი ფენით დაიფარა. 1986 წლის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს რესტავრატორთა ჯგუფმა (მ. ბუჩუკურის ხელმძღვანელობით) გაწმინდა ტაძრის კედლები შელესილობისა და კირის ფენისგან და კვლავ გამოჩნდა ქართული წარწერები. ქორედის სამხრეთით კედელს მთელ სიგანეზე დაუყვება ფრესკული წარწერა, რომელიც მოგვითხრობს 1066 წელს ჰალესის კომეტის გამოჩენის შესახებ:

„ქ. კურთხეულ ხარ, ღმერთო, ყოვლად ყოველსა შინა. ესე იქმნა დასაბამითგან წელთა ხქჲთ (1065 წ.), ქორონიკონსა სვპ (1066 წ.) მეფობასა ბაგრატ გიორგის ძისასა ინდიკტიონსა ლᲩ, აპრილსა თვესა ვარსკვლავი გამოჩნდა, რომელ მისსა წიაღსა აღმოლიდის და წინა მისსა ვითარცა შარავანდედი დიდი, მოკიდებით მასვეა. ესე იქმნა ბზობითგან აღვსებამდის.“

ლიხნის ტაძრის ამ წარწერაში მოხსენიებული მეფე ბაგრატ გიორგის ძე არის ბაგრატ IV (1027-1072 წწ.). აღსანიშნავია, რომ წარწერაში კომეტის გამოჩენა საოცარი სიზუსტით არის აღწერილი. იგი მოცემულია სამნაირი დათარიღებით (დასაბამითგან, ინდიკტიონით და ქორონიკონით), თანაც თვისა და დღეების აღნიშვნით. როგორც მ. ბროსე აღნიშნავდა, 1066 წელს აღდგომა 16 აპრილს დადგა, ბზობა – 9 აპრილს. ამრიგად, კომეტის გამოჩენის

პერიოდი 9-16 აპრილია. ნიშანდობლივია, რომ 1066 წელს ჰალეის კომეტის გამოჩენის შესახებ მოთხრობილია ასევე კიევის სამთავროს მატიანეში და ერთ-ერთ ჩინურ ქრონიკაში, ხოლო კომეტის გამოსახულება, საზარელი ურჩხულის სახით, ნორმანდიის დედოფალს მატილდა ფლანდრიელს ამოუქარგავს მის მიერ მოქსოვილი ხალიჩის კუთხეში.

გარდა ამ წარწერისა, ლიხნის ტაძარში გვხვდება სხვა წარწერებიც. ბიბლიურ სიუჟეტთა და წმინდანთა ქართულ-ბერძნული განმარტებითი წარწერების გარდა, შემორჩენილია ქართული ასომთავრული და მხედრული დამწერლობით შესრულებული წარწერები ბაგრატ IV-ის, გიორგი II-ის, ვაჩე პროტოსპათარის (ბაგრატ IV-ის წარმომადგენლის ბიზანტიის საიმპერატორო კარზე) და სხვათა მოხსენიებით.

ლიხნის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი მდიდრულად ყოფილა მოხატული. ფრესკებს თან ახლდა განმარტებითი წარწერები. სამხრეთის სარკმლის აფსიდთან მოთავსებულია ორსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა - წმიდა სამების გამოსახულებასთან: „ოდეს აბრაჰამს ესტუმრა სამებაი წმიდაი“. ასევე გვხვდება ასეთი წარწერები: „წმიდა ნიკოლოზი“, „წმიდა ბასილი“, „წმიდა გრიგოლი ღვთისმეტყუელი“. ამ ტიპის წარწერები ტაძარში მრავლადაა. მარი ბროსე აღნიშნავს, რომ კანკელის წინ თეთრი მარმარილოს ქვა იყო ბერძნული წარწერით, საიდანაც ირკვევა, რომ აქ განისვენებდა აფხაზეთის მთავარი გიორგი შარვაშიძე, წმ. ანას პირველი ხარისხის ორდენის კავალერი, რუსეთის არმიის გენერალ-მაიო რი. ესაა გიორგი (საფარ-ბეი) ქელეშ-ბეის ძე შარვაშიძე, რომელიც აფხაზეთის მთავარი 1810-1821 წწ. იყო.

მ. ბროსეს აქვე უნახავს ნაკურთხი წყლისთვის განკუთვნილი ვერცხლის ლარნაკი წარწერით: „დადიანის ქალისა თამარისა“. დადიანის ასული თამარი გიორგი შარვაშიძის თანამეცხედრე, ოდიშის მთავრის კაცია II დადიანის

(1758-1788 წწ.) ასული და ოდიშის მთავრის გრიგოლ დადიანის (1788-1804 წწ.) და იყო, რომელიც გიორგი (საფარ-ბეი) შარვაშიძემ 1806 წელს შეირთო ცოლად.

ვახუშტი ბატონიშვილი - აფხაზეთის აღწერისას აღნიშნავს: „ხოლო ანაკოფიის დასავლეთი არს აფხაზეთი. ანაკოფიის დასავლით დის აღაცოს წყალი... ამ აღაცოს წყლის დასავლით დის ზუფუს მდინარე... არს ზუფუ მცირე ქალაქისაებრი, სახლი და საყოფელი შარვაშიძისა, რომელი მპყრობლობს აფხაზთა“. ანაკოფია გვიანდელი ახალი ათონია, აღაცოს წყალი – მდ. ააფსთა (იგივე ბაკლა ნოვკა), ზუფუს მდინარე – მდ. ხიფსთა (იგივე ბელაია რეჩკა). მის ნაპირზე იყო გაშენებული ზუფუ, „სახლი და საყოფელი შარვაშიძისა“. შუა საუკუნეების ქართულ წყაროებში ლიხნი სწორედ ზუფუს სახელით იხსენიება. ისევე, როგორც ლიხნი ზუფუც ქართული ტოპონიმია.

გვიან შუა საუკუნეებში აფხაზეთში მიმდინარე ეთნო-პოლიტიკურმა პროცესებმა, სახელდობრ მთის ჩამოწოლამ, ჩრდილოეთ კავკასიიდან მთიელთა ჩამოსახლებამ, მხარის კულტურული განვითარება შეაფერხა და ქართული სამყაროსაგან აფხაზთა „გაუცხოება“ – გამოიწვია. ეს, უპირველეს ყოვლისა, ქრისტიანობის დაცემასა და წარმართობის აღორძინებაში გამოიხატა. ქართული ეკლესია აფხაზეთში თანდათან თმობდა პოზიციებს. ნიშანდობლივია, რომ XVI საუკუნის მეორე ნახევარში აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსის რეზიდენცია ბიჭვინთიდან გელათში გადაიტანეს. გვიან შუა საუკუნეებში, ჩამოსახლებულ მთიელთა ადგილობრივ მოსახლეობასთან შერწყმის შედეგად ჩამოყალიბდა თანამედროვე აფხაზური (აფსუა) ეთნოსი. 1681 წელს აფხაზებმა ოდიშის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი მდ. კელასურიდან მდ. ეგრისწყლამდე (ღალიძგა) მიიტაცეს. ამ ტერიტორიაზე გაუქმდა დრანდისა და მოქვის საეპისკოპოსოები, რადგან აფხაზთა მიერ მიტაცებულ ტერიტორიაზე ქრისტიანული ეკლესიის ფუნქციონირება შეუძლე-

ბელი გახდა. როგორც ჩანს, ამ დროს ლიხნის ეკლესიაც დაცარიელდა.

1810 წელს აფხაზეთის სამთავრო რუსეთის იმპერიის „მფარველობაში“ შევიდა. რუსეთის ხელისუფლება და აფხაზეთის მთავარი ამ მხარეში პოზიციების განმტკიცების მიზნით ქრისტიანობის გავრცელებას ცდილობდნენ. რუსეთის ხელისუფლება ქრისტიანობის მფარველობის დროშით ნიღბავდა დამპყრობლურ მიზნებს და კოლონიურ პოლიტიკას. ქრისტიანობის გავრცელება რუსეთის პოლიტიკური გავლენის გავრცელებას მოასწავებდა. ამიტომ იყო, რომ აფხაზეთის სამთავროში ქრისტიანობის აღორძინებას ყურადღება მიექცა.

აფხაზეთში რუსეთის მფარველობის დამყარების შემდეგ სამეგრელოს სამთავრო კარის ეკლესიის დეკანოზმა იოანე იოსელიანმა საკუთარი სახსრებით აღადგინა სამთავრო სახლის კარის ეკლესია ლიხნში, ღვთისმსახურება გამართა და მღვდლები გაამწესა, ამასთანავე მრავალი აფხაზიც მონათლა.

მისიონერული საქმიანობის პირველმა წარმატებებმა აფხაზეთში ნათლად აჩვენა, რომ არც ეკლესიები და არც სამღვდელოება ამ მხარეში საკმარისად არ იყო. 1823 წელს კავკასიის მთავარმართებელმა ა. ერმოლოვმა (1817-1827 წწ.) იმერეთის მმართველს, გენერალ-მაიორ პ. გორჩაკოვს სთხოვა, რომ სამეგრელოს მთავარს ლევან V დადიანს (1804-1840 წწ.) დაეთანხმებინა სამთავროს რომელიმე ეპისკოპოსი, აფხაზეთში ჩასულიყო და ლიხნის ტაძარი ეკურთხებინა. 1823 წლის ივლისში აფხაზეთში ცაგერელი მიტროპოლიტი იოანე (დადიანი) ჩავიდა და ლიხნის ტაძარი აკურთხა (იოანე ცაგერელმა ლიხნში ყოფნისას 26 აფხაზიც მონათლა). 1821-1824 წწ. ხელისუფლება ლიხნის ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის აღდგენასაც შეეცადა, მაგრამ ეს მცდელობა აფხაზთა 1824 წლის ანტირუსულმა აჯანყებამ და შემდეგ განვითარებულმა მოვლენებმა დიდი ხნით გადადო.

1824 წლის მაისში აფხაზთა ახალმა ანტირუსულმა აჯანყებამ იფეთქა. აჯანყებულებმა ალყა შემოარტყეს მთავრის რეზიდენციას ლიხნში და რუსთა სიმაგრეს, რომელიც ამ რეზიდენციას იცავდა. მათ კარის ეკლესიაც დაიკავეს და იქიდან ცეცხლს უშენდნენ სიმაგრეს. 18 ივნისს, ღამით, რუსთა რაზმი ეკლესიაში შეიჭრა და იქ გამაგრებული აფხაზები ამოწყვიტა. მხოლოდ ერთი კაცი - მარღანია გადარჩა შემთხვევით და შემდეგ თავისი ბობოქარი ცხოვრების ამ ეპიზოდს, ყოველთვის ძრწოლით იხსენებდა.

1831 წლის 5 ნოემბერს სამეგრელოს მიტროპოლიტი დავითი (წერეთელი) სინოდალურ კანტორას აცნობებდა, რომ აფხაზეთის მოსახლეობის უმრავლესობა მაჰმადიანი იყო და ამ მხარეში მხოლოდ ერთი მოქმედი ეკლესია არსებობდა ლიხნში, სადაც ღვთისმსახურებას მღვდელი სიმონ ჟორდანია ეწეოდა. 1834 წლის გაზაფხულიდან არქიმანდრიტი ანტონი (დადიანი) და მისი თანაშემწეები იღუმენი დავითი (ახვლედიანი), მღვდელი სიმონა ჟორდანია და მღვდელმონაზონი თეოფანე (გაბუნია) აფხაზეთში, ლიხნში აქტიურ მისიონერულ მოღვაწეობას შეუდგნენ. მისიონერული მოღვაწეობის ლიხნში დაწყება იმით იყო გამოწვეული, რომ აქ ცხოვრობდა მთავრის ოჯახი და მის მხარდაჭერას ამ საქმეში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა; ამავდროულად, ქრისტიანობა აქ ჯერ კიდევ იყო შემორჩენილი და აქაური მოსახლეობა ადვილად ინათლებოდა. არქიმანდრიტ ანტონის (დადიანი) შემდეგ ლიხნის ეკლესიაში მოღვაწეობდნენ იღუმენი თეოფანე (გაბუნია), ხოლო შემდეგ იღუმენი გერმანე (გოგელაშვილი) და იღუმენი ალექსანდრე (ოქროპირიძე).

1852 წელს, ლიხნის ეკლესიასთან, აფხაზეთში პირველი სკოლა გაიხსნა - ლიხნის სასულიერო სასწავლებელი, რასაც ამ მხარეში განათლების გავრცელების თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. სასწავლებელი აფხაზეთის სასულიერო პირებისა და ადგილობრივ მკვიდრთა ყველა ფენის შვილების სწავლა აღზრდისათვის

იყო განკუთვნილი. სხვა აფხაზი ბავშვებთან ერთად, მოგვიანებით, სასწავლებელში აფხაზეთის მთავრის შვილი, გიორგიც სწავლობდა. სასწავლებლის ფუნქციონირებას და ბავშვების შენახვას დიდი ამაგი დასდო სასწავლებლის ზედამხედველმა, იღუმენმა ალექსანდრემ (ოქროპირიძე).

ლიხნის ღვთისმშობლის ეკლესიამ მძიმე დღეები გამოიარა... აფხაზეთის ტერიტორია

ოკუპირებულია რუსეთის მიერ, რის გამოც ტაძრის შესწავლა და შესაბამისი სამუშაოების განხორციელება შეუძლებელია. თუმცა გვაქვს ინფორმაცია, რომ ნაგებობა და ეკლესიის მოხატულობა საკმაოდ მძიმე მდგომარეობაშია. 2010 წელს აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლებამ დაიწყო საკონსერვაციო სამუშაოები. ამჟამად მასზე დამონტაჟებულია დროებითი გადახურვა. სამუშაოები მიმდინარეობდა პროფესიონალი რესტავრატორების გარეშე, რის გამოც არსებობს ძეგლის ავთენტურობისა და მასზე შემორჩენილი ისტორიული კვალის წაშლის საფრთხეა. როგორც ჩანს, საოკუპაციო ხელისუფლება ცდილობს, როგორც ილორში, დრანდაში, მოქვში და ბედიაში, აქაც წაშალოს ქართული კვალი, თუმცა ეს უნაყოფო მცდელობა იქნება.

და დგას საუკუნოვანი ცაცხვების ჩრდილში ღვთისმშობლის ტაძარი ლიხნში და ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველოს ერთიანობისათვის მლოცველ ქართველებსა და აფხაზებს მოუთმენლად მოელის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ლ. შერვაშიძე. ლიხნი. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 6. თბ., 1983, გვ. 271.

2. ბ. ხორავა. ლიხნი. გაზეთი „ჩემი აფხაზეთი“. №28, 2014 წლის სექტემბერი.

მოქვის ტაძარი

გიორგი დავითაშვილი, ნინო ბერაია და მარიამ დალალიშვილი

ქალაქ რუსთავის, კერძო სკოლა - „მილენიუმის“ X -XI - კლასის მოსწავლეები ხელმძღვანელი: ქალაქ რუსთავის, კერძო სკოლა -„ მილენიუმის“ ისტორიის მასწავლებელი - **ნინო ნიკლაური**

ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი უნუკალური ძეგლი, მოქვის ტაძარი, მდებარეობს აფხაზეთის ტერიტორიაზე, ოჩამჩირის რაიონის სოფელ მოქვში. ძველი ქართული საისტორიო თხზულებათა კრებულის, „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ძეგლის აღმშენებლად ითვლება X საუკუნეში მოღვაწე აფხაზთა მეფე ლეონ III (957-967 წწ.). შესაბამისად, ძეგლი მისი მეფობის წლებით თარიღდება. „შეიქცა ლეონ და ეუფლა მამულსა და სამეფოსა თჳსსა, რამეთუ მაშინვე შთავიდა აფხაზეთად, და განადიდა უფალმან ღმერთმან მეფობა მისი. მსგავსად მამისა მისისა, იყო იგიცა ღმრთისმოყუარე და სავსე ყოვლითა კეთილითა. ამან აღაშენა ეკლესია მოქვისა და შექმნა საყდრად საეპისკოპოსოდ, აკურთხა და განასრულა ყოვლითა განგებითა...“.

საინტერესოა თქმულება მოქვის ტაძრის მშენებლობის შესახებ, რომელიც ვიანორ ფაჩულიამ ჩაიწერა. გადმოცემის თანახმად, დაუნდობელ ლეონს გადაუწყვეტია დიდებული ტაძრის აშენება, მოუწვევია საუკეთესო ხუროთმოძღვარნი სხვადასხვა კუთხიდან. მეფის ბრძანებით, ვინც დიდებულ ტაძარს ააშენებდა, რომლის გუმბათიდანაც ხელისგულივით გამოჩნდებოდა ულამაზესი პეიზაჟები, სიმდიდრით აავსებდა და ის ხუროთმოძღვარი, ვინც დანაპირებს ვერ შეასრულებდა „თავს წააგებდა“. საბოლოოდ გამოჩნდა ერთი უშიშარი ოსტატი, რომელმაც შეასრულა ყველა პირობა და ააგო დიდებული ქმნილება, თუმცა მეფეს არ სურდა დაპირებული სიმდიდრის გაღება და ოსტატი მაინც დასაჯა.

მოქვის ტაძარი წარმოადგენდა საეპისკოპოსო ცენტრს. მოქვის ეპარქიის მღვდელმთავარი ცნობილი იყო მოქველის სახელით, მათი უმრავლესობა, ქართული წერილობითი წყაროების მიხედვით, მთავარეპისკოპოსის ხარისხს ატარებდა, რაც იმის მანიშნებელია, რომ მოქვის საეპისკოპოსო და მოქველი მღვდელმთავარი სახელმწიფოში მნიშვნელოვანი ფიგურა იყო.

აღნიშნული ტაძრის შესახებ ცნობებს გვაწვდის ცნობილი ქართველოლოგი მარი ბროსე. ამ უკანასკნელს ტაძარი 1848 წელს საკუთარი თვალით უნახავს და მის შესახებ წერს: „ამ დიდშენ ტაძარზე მთლიანად მცენარეებია მოდებული. მისი სახურავი დიდ დაკიდებულ ბაღს მოგაგონებთ... იატაკი კარგად გათლილი ფილებითაა მოგებული, რომლზეც ფერადი მინის ნამსხვრევებია მიმოფანტული, ჩანს მოხდენილი ჩუქურთმებით შემკული სარტყლები. ყველაფერი ეს სრულყოფილ და ბრწყინვალე ხელოვნებაზე მეტყველებს.“ არსებობს ცნობები გვირაბის შესახებ, რომელიც მოქვის ტაძარს ბედიის ტაძართან აკავშირებდა. მოქვის ეკლესია საკმაოდ მაღალი გალავნით იყო შემოზღუდული, რადგან იგი ერთისმხრივ თავდაცვით ნაგებობასაც წარმოადგენდა, ამიტომ საიდუმლო გვირაბის არსებობაც არ არის გამორიცხული.

მოქვის ტაძარი არქიტექტურულად საკმაოდ მონუმენტურია. ეკლესია ჯვარ-გუმბათოვან ნაგებობას წარმოადგენს, რომელსაც აღმოსავლეთით სამი შვერილი აფსიდი აქვს. დასავლეთის მკლავი დაგრძელებულია ბოძების დამატებით. სამხრეთით და ჩრდილოეთით დამატებულია სამლოცველოების მწკრივები, რომლებიც განსაკუთრებულს ხდის შენობის გარე ფასადსა და ინტერიერს. ტაძარს ამშვენებს გუმბათის თორმეტწახნაგოვანი ყელი, რომელიც ოთხ ბურჯს ეყრდნობა. ნართექსისა და სამლოცველოების თავზე მეორე სართულია, რომელიც მთელ ეკლესიას სამი მხრიდან უვლის გარსს. შედარებით გვიანდელ მინაშენს წარმოადგენს სამი მხრიდან გახსნილი თაღოვანი კარიბჭე, რომლის ფასადები მოპირკეთებულია სუფთად თლილი ქვით.

არსებობს იერუსალიმის პატრიარქის დოსითეოს II ნოტარას (1669-1707 წწ.) ცნობა, მოქვის ტაძრის კედლების მოხატულობასთან დაკავშირებით, რომელიც შესრულებულ იქნა დავით აღმაშენებლის (1089-1125 წწ.) მეფობის დროს. სამწუხაროდ, აღნიშნულმა მხატვრობამ ჩვენამდე

ვერ მოაღწია.

მოქვის ტაძარი XIX საუკუნეში აფხაზეთის მთავარმა მიხეილ შარვაშიძემ (1822-1864 წწ.) აღადგიდნა და თავის საგვარეულო საძვალედ აქცია. მალევე, ნაგებობა რუსი-ფიკატორთა ხელში მოექცა. იმ დროს ჩატარებულმა ე.წ. სარესტავრაციო სამუშაოებმა ტაძრის პირველადი სახე საგრძნობლად შეცვალა. მთლიანად განადგურდა ეკ-ლესიის დეკორატიული მორთულობა და მოპირკეთება, აღარ ჩანს იმ ორნამენტების კვალი, რომლებსაც დიმიტ-რი ბაქრაძე აღნიშნავს საკუთარ ნაშრომში. არქიტექტორ ლევან ხიმშიაშვილის აზრით, თავიდან არის აღმართული გუმბათიც.

მოქვის საეპისკოპოსო კათედრა X საუკუნეში დაარ-სდა, ხოლო როგორც ქართული კულტურის ერთ-ერთი უმ-ნიშვნელოვანესი ცენტრი XIII საუკუნიდან დაწინაურდა. საყურადღებოა, რომ მსოფლიოს კულტურული მემკვი-დრეობის მნიშვნელოვანი სულიერი და მატერიალური ძეგლი, რომლის ანალოგი მსოფლიოში თითქმის არ არის - მოქვის ოთხთავი, გადაწერილი იქნა, სწორედ, მოქვის მონასტერში. ექვთიმე თაყაიშვილის შენიშვნით, მისი გა-დაწერა მოხდა 1300 წელს მოქველი მთავარეპისკოპოსი დანიელის თაოსნობით, ბერი ეფრემის მიერ. ოთხთავი მდიდარია სახარებისეული სიუჟეტების ამსახველი მი-ნიატიურებით, რომლებიც თანმიმდევრულად ასურათე-ბენ ტექსტის შინაარსს. მოქვის სახარების მოხატულობა გამორჩეულია საშემსრულებლო ტექნიკითაც. ამჟამად, მოქვის ოთხთავი საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ინახება.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მოქ-ვის მონასტერს მიწები ჩამოართვეს, რის შედეგადაც მო-ნასტერმა ფუნქციონირება შეწყვიტა.

1968 წელს მოქვის ტაძარს 1000 წელი შეუსრულდა, რაც ფართოდ აღინიშნა. ამ პერიდში მოხდა ტაძრის რე-სტავრაცია. მოხსნეს XIX საუკუნის ფენები და ტაძარმა

თითქმის თავდაპირველი იერი დაიბრუნა.

ამრიგად, მოქვის ტაძარი საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის უნიკალურ ძეგლს წარმოადგენს, რომელიც დღეს რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მდებარეობს, რის გამოც, სამწუხაროდ, ტაძრის მონახულება, შესწავლა და შსაბამისი სამუშაოების განხორციელება ქართველების მხრიდან შეუძლებელია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გ. კალანდია. მოქვის ავბედობა - რას შეეწირა ტაძრის ამშენებელი დიდოსტატი... . ჟურნალი „ისტორიანი". N84 https://www.kvirispalitra.ge/istoriani/39642-moqvis-avbedoba-ras-sheetsira-tadzris-amshenebeli-didostati.html
2. ე. მაჭავარიანი. მოქვის დასურათებული ოთხთავი. ჟურნალი „ჯვარი ვაზისა". №1. 2005.
3. მოქვის ღვთისმშობლის ტაძარი. http://www.orthodoxy.ge/sitsmindeebi/moqvi/otxtavi.htm
4. http://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%A6%E1%83%95%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%9B%E1%83%A8%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%AB%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98
5. მოქვის ტაძარი. https://sites.google.com/site/eklesiebidamonastrebi/home/mokvis-tadzari
6. მოქვის საკათედრო ტაძარი. https://georgiantravelguide.com/ka/mokvis-sakatedro-tadzari
7. ს. ნინიკაშვილი. მოქვის სახარება ქართული ხელნაწერი, რომელსაც მსოფლიოში ანალოგი არ აქვს. https://ttimes.ge/archives/70109?fbclid=IwAR1JsPj9QjNCYpEzyvgUo-iTX1lw24sGaPbXR9EBrxX7llIlTqtP1kmnRqk



წებელდის ციხე

თამარ ნათენაძე, ანი შამუგია

თბილისის თანამედროვე განათლების აკადემიის XII კლასის მოსწავლეები
ხელმძღვანელი: თბილისის თანამედროვე განათლების აკადემიის ისტორიის მასწავლებელი - **ნინო მიმინოშვილი**

წებელდის ციხე ქართული ისტორიული ძეგლი, რომელიც აფხაზეთში, გუდაუთის მუნიციპალიტეტში, სოფელ წებელდაში, მაღალ და ძნელად მისასვლელ მთაზეა აგებული. ციხის ტერიტორიის არქეოლოგიურმა შესწავლამ გამოავლინა აქ არსებული აბანოს, ტაძრის, ორსართულიანი თავდაცვითი და სამეურნეო ნაგებობების, მარნის და წყალსადენი სისტემის ნაშთები.

არქეოლოგების აზრით, წებელდის ციხის აშენება IV ს-ში უნდა მომხდარიყო. იქ გამოვლენილი არქეოლოგიური ფენები კი, ძირითადად, IV-VII საუკუნეებით თარიღდება. თუმცა, მეცნიერებმა დაასკვნეს, რომ ციხის ძირითადი კომპლექსი VI ს-შია აგებული ბიზანტიელების მიერ და ამავდროულად ლაზიკის ერთიანი თავდაცვითი სისტემის ნაწილი ყოფილა. წებელდის ციხის აშენების თარიღი (IV ს.) ზუსტად ემთხვევა ეგრისის სამეფოს ჩამოყალიბების პერიოდს. ამავე ეტაპზე შენდება და ახლდება ლაზიკის უმეტესი ციხესიმაგრეები, ბიზანტიური სამშენებლო ტრადიციების გავლენით ყალიბდება თავდაცვითი ნაგებობების აგების ადგილობრივი წესები, რომლებიც არაერთ ანალოგს პოულობს ეგრისის სამეფოს სხვა საფორტიპიკაციო სისტემებთან.

წებელდის ციხე ეგრისის სამეფოს თავდაცვითი ხაზის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ ფორპოსტს წარმოადგენდა. მისი მთავარი დანიშნულება ჩრდილოეთ კავკასიიდან სამხრეთისაკენ მდ. კოდორის ხეობაზე გამავალი გზის ჩაკეტვა და გაკონტროლება იყო. კოდორის ხეობაზე, წებელდის ციხის მახლობლად, გადიოდა მნიშვნელოვანი სავაჭრო გზაც, რომელიც სებასტოპოლს (ცხუმი, სოხუმი) ქლუხორის უღელტეხილით ჩრდილოეთ კავკასიასთან აკავშირებდა. უნდა აღინიშნოს, რომ ჩრდილოეთ კავკასიიდან დასავლეთ საქართველოში სულ რამდენიმე მნიშვნელოვანი გადმოსასვლელი არსებობდა (რიონის, ცხენისწლის, ჭანისწყალის და ენგურის ხეობებზე) და ერთ-ერთი მათგანი სწორედ კოდორზე გადიოდა. ცხა-

დია, სავაჭრო გზაზე თავისუფლად შეეძლოთ გადადგილება ჩრდილო კავკასიელ მომთაბარე ტომებსაც, რაც სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენდა, როგორც უშუალოდ აფხაზეთის, ისე, მთელი ეგრისის სამეფოსთვის. წებელდას ამ გზით მოსარგებლე ვაჭრებიც უნდა დაეცვა მძარცველებისგან. ამდენად, წებელდის ციხე მნიშვნელოვან სავაჭრო და სამხედრო გზას აკონტროლებდა და, შესაბამისად, ქართული სამეფოს ჩრდილოეთი საზღვრის უსაფრთხოებას იცავდა.

ბერძნული წყაროების მიხედვით, წებელდის ციხე ადრეული შუა საუკუნეების საქართველოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საფორტიფიკაციო ნაგებობას წარმოადგენდა. VI საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსის პროკოფი კესარიელის ცნობით, იგი კარგად გამაგრებული ციხესიმაგრე იყო, რომელსაც ლაზთა (ეგრისის) სამეფოს თავდაცვით სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა. ბიზანტიელი ისტორიკოსი ასე აღწერს წებელდას: „აფშილები ძველთაგანვე ლაზთა ქვეშევრდომნი არიან, ამ ქვეყანაში არის ერთი ციხე, მეტად მტკიცე, ადგილობრივი მცხოვრებლები მას წიბილეს უწოდებენ".

გაზეთი „ივერია“ თავისი დაარსების დღიდან ყურადღებით ადევნებდა თვალს აფხაზეთში მიმდინარე პოლიტიკურ და კულტურულ მოვლენებს. გაზეთის საშუალებით ინფორმაცია მოგვეპოვება წებელდაში აღმოჩენილი მატერიალური კულტურის ძეგლების შესახებ. „ივერიის“ ცნობით, ეკლესია, რომელიც წებელდის ტყეში მდებარეობს ქვითკირით არის ნაგები და მდიდარია რელიეფური ქვებით.

ქართველ ისტორიკოსთაგან, პირველმა დიმიტრი ბაქრაძემ (1886 წელს) შეისწავლა წებელდაში აღმოჩენილი ნივთები, წარწერები, ნაგებობის შემორჩენილი ფრაგმენტები და ა.შ. ეპიგრაფიკული და არქიტექტურული ნაშთების ანალიზით ისტორიკოსმა დაამტკიცა, რომ წებელდის ტაძრის ხატებზე ქართული წარწერები XI სა-

უკუნით თარიღდება. ბაქრაძემ რუსეთის იმპერიის არქეოლოგიური საზოგადოების მიმართ დაწერილ ანგარიშში დაწვრილებით აღწერა ციხის მდგომარეობა, მის კომპლექსში არსებული ეკლესიის ფრაგმენტები - კარიბჭე, მოზაიკით მოჭიქული იატაკი და სხვ. იმავე წელს, დიმიტრი ბაქრაძის მოხსენების საფუძველზე, წებელდის ციხესიმაგრის შესასწავლად საიმპერატორო არქეოლოგიურმა საზოგადოებამ საქართველოში მოავლინა ცნობილი რუსი მეცნიერი და ისტორიკოსი, არქეოლოგი გრაფინია უვაროვა, რომელმაც საფუძვლიანად შეისწავლა და აღწერა აღნიშნული ეკლესია და შეაფასა ის, როგორც შუა საუკუნეების ქართული ხელოვნების მნიშნელოვანი ძეგლი.

წებელდა მდიდარია არქეოლოგიური და ხუროთმოძღვრული ძეგლებით. ნაპოვნია კანკელის ფილები. გათხარეს II-VII საუკუნეების სხვადასხვა ინვენტარით მდიდარი სამარხები. სოფ. წებელდის აღმოსავლეთით 4 კმ-ზე არქეოლოგებმა შეისწავლეს ერთ-ერთი ციხე, სადაც გამოვლინდა საფორტიფიკაციო სისტემა, ორი დარბაზული ეკლესია, აბანო, სამეურნეო სათავსოები, წყალსაცავი აუზი, წყალსადენი სისტემის ნაშთები. აქვე აღმოჩნდა VI საუკუნის მონეტები და სხვა. აღმოჩენილია, აგრეთვე, X-XI საუკუნეების მონეტების განძი, რომელიც შეიცავს არაბული დირჰემების ქართულ მინაბაძებს.

1810 აფხაზეთის სამთავრომ იძულებით ცნო რუსეთის პოლიტიკური გავლენა. წებელდაში ახალი ხელისუფლება აღიარეს 1840 წელს. აფხაზეთის 1866 წლის აჯანყების დროს წებელდის მოსახლეობა აქტიურად იბრძოდა ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ. შემდეგში წებელდის მოსახლეობა იძულებით თურქეთში გადაასახლეს.

საზოგადოებისთვის ნათელი გახდა წებელდაში არაერთი მნიშვნელოვანი მატერიალური კულტურის ძეგლის აღმოჩენის, მათი მდგომარეობისა და შემდგომში ჩატა-

რებული კვლევა-ძიების შესახებ. აღნიშნული ძეგლები ამტკიცებს, რომ ადრეული შუასაუკუნეების მაღალგანვითარებული ქართული კულტურა მოიცავდა, მათ შორის, თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიასაც, რომლის ერთ-ერთი მკაფიო დადასტურებაა წებელდის ციხის კომპლექსი.

წებელდის კომპლექსი დღესდღეობით მძიმე მდგომარეობაშია და ყურადღებას საჭიროებს. ციხის გალავნის სიგრძე 150 მეტრია, ხოლო სიგანე - 50 მეტრი. გალავანს კუთხეებში კოშკებია ჩართული. შედარებით უკეთაა შემორჩენილი ჩრდილო-დასავლეთის კოშკი, რომელიც ნახევარწრიული მოყვანილობისაა. კოშკს ჩრდილოეთით სამი სარკმელი აქვს გაჭრილი. ციხის ტერიტორიაზე შემორჩენილია ეკლესიის ნანგრევები. ტერიტორია ოკუპირებულია რუსეთის მიერ, რის გამოც ძეგლის ამჟამინდელი მდგომარეობის შესწავლა და შესაბამისი აღდგენითი სამუშაოების განხორციელება შეუძლებელია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნ. მურღულია. ეგრისის სამეფოს გამაგრების სისტემა IV-VI საუკუნეებში (არქეოლოგიური მასალებისა და ისტორიული წყაროების მიხედვით). 2012. https://georgiantravelguide.com/ka/tsebeldis-tsikhe http://dl.sangu.edu.ge/pdf/dissertacia/nikomurgulia.pdf
2. რ. გოგინაშვილი. წებელდის მატერიალური კულტურის ძეგლები გაზეთ ივერიის ფურცლებზე. 2014
3. გაზეთი „ჩემი აფხაზეთი“. 2017 https://www.livepress.ge/ru/2019-05-09-12-07-37/article/1-2019-04-25-07-02-58/30054-gulrifshshi-19-nagebobas-kulturuli-dzeglis-statusi-mienitca.html



ბზიფის ციხე-სიმაგრე

თამარ იბრაგიმოვა

სსიპ - რომან ზოიძის სახელობის მარნეულის მუნიციპალიტეტის
სოფელ შულავერის #1
საჯარო სკოლის XII კლასის მოსწავლე
ხელმძღვანელი: სსიპ - რომან ზოიძის სახელობის მარნეულის მუ-
ნიციპალიტეტის სოფელ შულავერის #1 საჯარო სკოლის ისტორიის
მასწავლებელი - **შორენა ფუტკარაძე**

ბზიფის ციხესიმაგრე მდებარეობს აფხაზეთში, გაგრის მუნიციპალიტეტის სოფელ ბზიფში. წყაროების თანახმად, გვიან ფეოდალურ ხანაში ბზიფის ხეობა ინალ-იფას სამთავროს საკუთრების ნაწილი იყო. XIX საუკუნის ბოლოს მკლევრებმა აღმოაჩინეს ბზიფის ციხის ნანგრევები, რომლის ფართობია 7 ათასი კვადრატული მეტრი. ბზიფის ციხეს გარშემორტყმული აქვს გალავანი. ციხის გალავანს, რომელიც აგებულია კარგად დამუშავებული კირქვის კვადრებით, დატანებული აქვს ოთხკუთხა და ნახევრად წრიული კოშკები, კონტრფორსები და კარიბჭე. სოფელ ბზიფში, მდინარის მარჯვენა ნაპირზე, გზის მარცხნივ არის მაღალი კლდე, ბზიფის ციხე მდებარეობს მასზე. ციხესიმაგრეზე ასვლა იწყება ფართო პლატფორმიდან, რომელიც გაფორმებულია დაუმთავრებელი ხიდის ბეტონის ფილებით, რომლის მეშვეობითაც ოდესღაც შავი ზღვის რკინიგზა შენდებოდა. პირველ მსოფლიო ომამდე დაიწყო შავი ზღვის რკინიგზის მშენებლობა ტუაფსესა და ნოვო-სენაკს შორის, რომელსაც გეგმის მიხედვით უნდა გაევლო ბზიფის ციხესიმაგრისა და ტაძრის ტერიტორიაზე საფორტიფიკაციო ფირფიტები გამოყენებული იყო ქვის ხიდის სვეტების მშენებლობაში. ახლა ბზიფის ორივე მხარეს არის ქვის სვეტები —დაუმთავრებელი მაღალსართულიანი სარკინიგზო ხიდის სვეტები. კედლები დაფარულია სუროსა და სხვადასხვა მცენარეულობით. მისი სიმრავლის გამო ძნელია დაუყოვნებლივ შენიშნო ბზიფის ციხე უცნობი თვალით. ციხის კედლები თეთრი კირქვის ფილებისგანაა დამზადებული. ციხესიმაგრის ტერიტორიაზე მდებარეობს VIII-X საუკუნეების ტაძარი და სხვა ნაგებობების ნაშთები. ბზიფის ციხის ეკლესია ჯვარგუმბათოვანი “ჩაწერილი ჯვრის” ტიპისაა, სამი შვერილი აფსიდით და თარიღდება IX საუკუნის II ნახევრით და ბზიფის ციხის კომპლექსის შემადგენლობაში შედის. შესასვლელი სამია – სამხრეთით, დასავლეთითა და ჩრდილოეთით. სამივე შესასვლელს კარიბჭეები აქვს მიშენე-

ბული. საკურთხეველი სამი საფეხურითაა შემაღლებული. ეკლესიის მორთულობა ძალიან სადაა. ზოგან შემორჩენილია ხელოსნების მიერ შემკული ორნამენტის ნარჩენები. ტაძარი ძალიან დაზიანებულია, ჩამონგრეულია გუმბათი, კამარები, საყრდენი სვეტები და თაღები, ნაწილობრივ ჩამოცვენილია პერანგის ქვებიც. მთავარი ტაძრის აღმოსავლეთით კიდევ ერთი, უფრო ძველი ეკლესიის ნაშთები ჩანს. თავად ბზიფის ციხე ორი ნაწილისგან შედგება, ზედა ნაწილში ტაძარია, ქვედა ნაწილის ეზოში ძველი გზა გადიოდა. ციხეების კომპლექსი იყო ბზიფის ხეობის თავდაცვითი სტრუქტურების სისტემის ნაწილი და იცავდა ჩრდილოეთ კავკასიისკენ მიმავალ ერთ-ერთ უღელტეხილს. მდინარის ორივე სანაპიროზე არის მრავალი ციხე და ტაძარი. ეს მიუთითებს იმაზე, რომ მრავალი საუკუნის წინ ეს ტერიტორია საკმაოდ მჭიდროდ იყო დასახლებული. XX საუკუნის 50-იანი წლების შუა ხანებში მეცნიერული და არქეოლოგიური სამუშაოები ჩატარდა ბზიფის ტაძარში. ნაპოვნი ნივთები ინახება აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმში.

ციხესიმაგრეს 2006 წელს მიენიჭა ეროვნული მნიშვნელობის კულტურის უძრავი ძეგლის კატეგორია. აფხაზეთის ტერიტორია დღესდღეობით ოკუპირებულია რუსეთის მიერ, რის გამოც ძეგლის შესწავლა და შესაბამის სამუშაოების განხორციელება შეუძლებელია.

გვაქვს ინფორმაცია, რომ ეკლესიაც და ციხეც, მძიმე ფიზიკურ მდგომარეობაშია. ეკლესია თითქმის ნანგრევებადაა ქცეული და სასწრაფოდ საჭიროებს რესტავრაციას.

იმედს ვიტოვებთ, რომ უახლოეს მომავალში დავიბრუნებთ აფხაზეთს და მოგვეცემა საშუალება ჩვენი კულტურული ძეგლების მონახულების და აღდგენის. ასევე უფრო მეტ ინფორმაციას მოვიპოვებთ აფხაზეთში არსებული კულტურული ძეგლების შესახებ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. https://anyha.org/bzybskaya-krepost-i-bzybskij-xram/
2. http://abkhazia-apsny.ru/bzybsky-fortress
3. https://georgiantravelguide.com/ka/bzifis-eklesia
4.http://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/%E1%83%91%E1%83%96%E1%83%98%E1%83%A4%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%AB%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98
5.https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%98%D0%BD%D0%B0%D0%BB%D0%98%D0%BF%D0%B0#/media/%D0%A4%D0%B0%D0%B9%D0%BB:Castle_near_the_Bzyb_River.jpg
6.https://ka.m.wikipedia.org/wiki/%E1%83%91%E1%83%96%E1%83%98%E1%83%A4%E1%83%98%E1%83%Ahttps://ka.m.wikipedia.org/wiki/%E1%83%91%E1%83%96%E1%83%98%E1%83%A4%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%AB%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98

ბესლეთის ხიდი

ნოდარ იაშვილი

გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფ. თელეთის საჯარო სკოლის
მე-11კლასის მოსწავლე
ხელმძღვანელები: თელეთის საჯარო სკოლის ისტორიის
მასწავლებლები -
ლალი ჭინჭარაშვილი და ნინო კენჭაძე

ბესლეთის ხიდი, ქართული კულტურის მატერიალური ძეგლი აფხაზეთში, სოხუმთან ახლოს, მდინარე ბესლეთზეა გადებული. ხიდი წარმოადგენს შუა საუკუნეების ქართული არქიტექტურის ნიმუშს, რომლის ხუროთმოძღვარს, როგორც ჩანს, კარგად ჰქონდა შესწავლილი მდინარის თვისება. ასეთი მძლავრი და ტექნიკურად მაღალხარისხოვანი ხიდი დიდ სავაჭრო და პოლიტიკურ გზაზე უნდა მდგარიყო. ბესლეთის ხიდის დასავლეთ კიდეზე დატანებულია ერთსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა, რომელშიც მოხსენიებულია მეფე ბაგრატი, წარწერა პალეოგრაფიულად X-XI საუკუნით თარიღდება და სრული სახით შემონახული არ არის.

წარწერის აღდგენის ორი ვარიანტი არსებობს:

1. ქ(რისტ)ე;[მეუფ(ე)ო] ყ(ოველთ)ა, [უმ(ე)ტ(ე)ს(ა)დ] [ად] იდე ორთავ[ე] შ(ინ)ა ს(უ)ფ(ე)[ვ]ათა უ[ძლეველი]...

2. ქ(რისტ)ე, [მფლობელო] ყ(ოველთ)ა [სუფევათაო], [ად]იდე ორთავ[ე] შ(ინ)ა ს(უ)ფ(ე)[ვ]ათა უ[ძლეველი]...

მიუხედავად იმისა, რომ წარწერაში დასახელებული მეფე, სავარაუდოდ, მეფე ბაგრატ III (975-1014 წწ.) ბაგრატიონია, ადგილობრივმა მოსახლეობამ თამარ მეფისადმი დიდი სიყვარულის დასტურად, ამ ხიდს თამარის ხიდი შეარქვა.

ბესლეთის ხიდი საქართველოს ისტორიის ცნობილმა მკვლევარმა, აკადემიკოსმა ნ. ბერძენიშილმა მოინახულა და გამოთქვა მოსაზრება ხიდის ისტორიათან დაკავშირებით: „ბესლეთის ხიდის სანახავად წავედით. აქაურ ძველ „მეცნიერთა“ დამახასიათებელია, რომ ამ იშვიათ ნიმუშს ქართული მშენებლობისას „ვენეციურ ხიდს“ უწოდებენ. 1936 წელს ხიდზე ქართული წარწერის აღმოჩენამ დაამსხვრია ვენეციელთ მოყვარულთა და საქართველოს მოძულეთა ეს „მეცნიერება“. წარწერის ნაშთი მოწმობს, რომ ხიდი აგებულია საქართველოს სამეფოს ძლიერების ხანაში. საფიქრებელია, ადგილობრივი ადმინისტრაციული მმართველის მიერ. ასოების სიდიდე და მათი იშვიათი

ხელოვნებით შესრულებულობა მოწმობს, რომ ამომჭრელი ამ წარწერის შორიდან წაკითხვას ვარაუდობდა ე.ი. ჩრდილოეთის მისასვლელთან, საიდანაც გზა შემოდიოდა ამ ხიდზე... ამ გზის ძველ მიმართულებას მიუთითებს აგრეთვე, აქვე ახლოს, ხიდთან, მდინარის მარცხენა მხარეზე ნანგრევი (იმავე ხანის) სასახლისა და ეკლესიისა!...“ - წერს ნ. ბერძენიშვილი.

აღსანიშნავია ისიც, რომ ხიდთან ადრე მდგარა ბესლეთის ციხე, რომელიც ქალაქის შემოსასვლელს მთის ტომების თავდასხმებისგან იცავდა. ხიდის თავთან მონუმენტური ქვა-სტელა იყო შემონახული, ქართული წარწერით, რომელიც 1990-იანი წლების დასაწყისში დაიკარგა.

1936 წ. ბესლეთის ხიდი დეტალურად გამოიკვლია აკადემიკოსმა გ. ჩუბინაშილმა. მან მთელი დამაჯერებლობით დაამტკიცა, რომ ბესლეთის ხიდი ნამდვილად შუა საუკუნეთა ძეგლი და ქართველი ხალხის შემოქმედებითი ქმნილებაა. ამასთან დაკავშირებით არქიტექტორებმა ლ. რჩეულიშვილმა და ნ. ჩუბინაშვილმა გამოაქვეყნეს წერილი, რომელშიც წერენ:

„ხიდი აგებულია ქვით, კირის დუღაბზედ - ნახმარია აგურიც, რომელიც ხიდის თაღის გარე საპირე ქვებს შორისაა ჩატანებული. თაღის საპირე ნაწყობია 1მ. სიმაღლის და 30-35 სმ. სიგანის ქვის ბლოკებისგან, რომელთა შორის 9 სმ. შრეებია დარჩენილი; ამ შრეებში ორ რიგად 3 სმ. სისქის აგურია ჩაყოლებული (აგური სხვა ადგილას ნახმარი არსად ჩანს). ეს შრეები თაღის საპირე ქვებს შორის სოლების კონსტრუქციულ როლს ასრულებს და, ამავე დროს, წარწერის ქვებს ერთიმეორიდან მხატვრული აღქმისთვის აშორებს.

ხიდის სავალი ნაწილი სრულებით განადგურებულია. აღარ ჩანს ქვაფენილი, თაღის კონსტრუქცია გაშიშვლებულია, საპირე წყობის მომეტებული ნაწილი ძალიან უსწორ-მასწოროდ ჩამომტვრეულია.

ხიდის თაღი ორი წრიული მრუდითაა შემოწერილი.

ერთი მრუდი ძირითადი ცენტრიდან იწერება და ხიდის თაღის სამუშაო ნაწილს ეკუთვნის, მეორე კი პირველის ზევით ვერტიკალზე მდებარე ცენტრიდან იწერება და ბურჯების პროფილს ეკუთვნის.

ბურჯების ფასადისათვის ასეთი მრუდხაზოვანი მიმართულების მიცემით ხიდის ოსტატმა ძალიან გონებამახვილური კონსტრუქცია იხმარა, სახელდობრ, მან ამით ხიდის თაღის სამუშაო თაღი დააპატარავა, რითაც სისქე შეამცირა და ამავე დროს ხიდის ხვრელი წყლის უფრო მეტი რაოდენობის გასაშვებად გაადიდა.

ხიდის ასაგებად ადგილის კარგად მოფიქრებული შერჩევა, ხიდისათვის შესაფერისი კონსტრუქციის ზედმიწევნით მიგნება, თანაც სამშენებლო სამუშაოების მაღარლხარისხოვანი ღირსება გვაფიქრებინებს, რომ მშენებელ-ხუროთმოძღვარს, დიდი პრაქტიკული და მათემატიკური (გეომეტრიული) გამოანგარიშების ცოდნაც უნდა ჰქონოდა. ეს მოსაზრება გამართლდა თანამედროვე ხიდმშენებლობის ტექნიკის თვალსაზრისისთ გაწეული ამ ხიდის სტატისტიკურად შემოწმების შედეგითაც.

ეს ამტკიცებს ხიდის თაღის მაღალხარიოსხოვან ღირსებას. ხიდს 2-ტონიანი მანქანების მთელი შეუწყვეტელი რიგის სიმძიმის ატანაც კი შეუძლია, სათანადო ცნობა არ მოგვეპოვება, მაგრამ უდავოა, რომ ეს გზა აფხაზეთის მთის რაიონებს შავი ზღვის ნავსადგურებთან აკავშირებდა.“

ვინაიდან ტერიტორია ამჟამად ოკუპირებულია რუსეთის მიერ, ბესლეთის ხიდის შესწავლა და რესტავრაცია შეუძლებელია, ხიდი საჭიროებს მცენარეული საფარისგან გასუფთავებას. მიუხედავად ამისა, თითოეული ქართველი იმედიანად ვრჩებით, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებს დავიბრუნებთ და ჩვენს ციხე-კოშკებს, ეკლესიებს, ხიდებსა თუ მიწა-წყალს უწინდებური სათანადო სიყვარულით ვუპატრონებთ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნ. კვეზერელი-კოპაძე. “საკითხავნი ყმაწვილთათვის“. ტ. XIII.
2. თ. მიბჩუანი. “საკითხავნი ყმაწვილთათვის”. ტ. XIII.
3. ლ. რჩეულიშვილი. ”საკითხავნი ყმაწვილთათვის“. ტ. XIII.
4. გ. ჩუბინაშვილი. ”საკითხავნი ყმაწვილთათვის“. ტ. XIII.
5. ნ. ბერძენიშვილი. “საკითხავნი ყმაწვილთათვის“. ტ. XIII.
6. ვ. სილოგავა. დასავლეთ საქართველოს წარწერები. ქართული ლაპიდარული

წარწერების კორპუსი, II, თბ., 1980.



აფხაზეთის დოლმენები

ლიზი გაბაიძე

გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფ. კრწანისის საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლე
ხელმძღვანელი: სოფ. კრწანისის საჯარო სკოლის ისტორიის მასწავლებელი **- ნინო ცერცვაძე**

სიტყვა დოლმენი წარმოშობით ბრეტონულია (ბრეტონი მხარე იყო დღევანდელ საფრანგეთში). taol mean ანუ ქვის მაგიდა. ის ძირითადად შედგება ვერტიკალური შემომსაზღვრელი კოჭებისაგან, რომლებიც კედელს ქმნიან და ჰორიზონტალური ბლოკებისაგან - ფილებისაგან, რომლებიც ახდენენ შიდა კამერის იზოლაციას. ანუ დოლმენი არის ნაგებობა, რომელიც ერთიმეორეზე დაწყობილი დიდი ქვებისგან შედგება. მიკუთვნებულია უძველეს მეგალითურ სამაროვან ნაგებობებს. დასახელება წარმოიშვა მისი გარეგნული ხედიდან. ქვის საყრდენებზე დადებული ქვის ფილა, რომელიც მაგიდას ჰგავს.

არქეოლოგების აზრით, დოლმენი ძირითადად ტომის ბელადის პრიმიტიულ საცხოვრებელს წარმოადგენდა, თუმცა ზოგიერთი მათგანი, რომელთაც ზევიდან მიწას აყრიდნენ, იგებოდა დამკრძალავი კამერების სახით. დოლმენური კულტურა, სხვადასხვა კონსტრუქციის, ზომისა და დამუშავების ტექნოლოგიით, დასტურდება: საფრანგეთში, უკრაინაში, ბრიტანეთში, ესპანეთში, რუსეთში, ირლანდიაში, კორეასა და ბელგიაში. საერთოდ დოლმენების შესწავლა-გამოკვლევები მე-17 საუკუნიდან მომდინარეობს ოფიციალურად. კერძოდ, მღვდელმა იოხან პიკარდმა, ნიდერლანდების პროვინცია დრენტში არსებული დოლმენები შეისწავლა პირველად.

საქართველოში დოლმენები, ძირითადად აღმოჩენილია აფხაზეთის ტერიტორიაზე. ასევე თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, სამეგრელოსა და სვანეთში.

პირველი ცნობა კავკასიაში დოლმენების არსებობის შესახებ გვხვდება დიუბუა დე მონპერესთან. ის გახლდათ შვეიცარიელი მოგზაური, სიძველეთა მკვლევარი და გეოლოგი. 1831-1834 წლებში იმოგზაურა შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროზე ყირიმსა და ამიერკავკასიაში, შედეგები გამოაქვეყნა 1839-1845 წლებში.

1955 წელს საქართველოს ხელოვნების მუზეუმის აფხა-

ზეთის არქეოლოგიური ექსპედიცია იწყებს აფხაზეთში აღმოჩენილი დოლმენების სისტემატურ და გეგმაზომიერ აღწერასა და მასალების შესწავლას.

1926 წელს პედაგოგმა ვიქტორ სტრაჟევმა მოგვცა აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული ბრინჯაოს ხანის ძეგლთა მოკლე მიმოხილვა, მის მიერვე დაფიქსირდა პირველი ცნობა აფხაზეთში დოლმენების არსებობის შესახებ.

მანამდე კი, 1912 წელს რამდენიმე დოლმენი იქნა შესწავლილი არქეოლოგების მიერ დაწვრილებით, ხელუხლებელ დოლმენებში აღმოჩენილი იყო, კერამიკის ფრაგმენტები, კაჟის ცულები, ისრის ბუნიკები, მცირე რაოდენობით ადამიანის ნაშთები და ასე შემდეგ. იყო შემთხვევაც, როდესაც დოლმენში 600-მდე ჭურჭლის ნაშთი იქნა აღმოჩენილი, თუ გავითვალისწინებთ, რომ თითო მიცვალებულს 1 ასეთ ჭურჭელს ატანდნენ საჭმლით, გამოდის, რომ თითო დოლმენში სავარაუდოდ 600-მდე მიცვალებული იმარხებოდა.

შავი ზღვისპირეთის დოლმენი დამუშავების ხარისხითა და ტექნოლოგიით დიამეტრულად განსხვავდება სხვა ქვეყნების დოლმენებისგან. უფრო მაღალი ტექნოლოგიებით დამუშავებული ქვებია შეპირაპირებული ერთიმეორეზე, იმ დროს, როდესაც სხვა მოცემული დოლმენები პრიმიტიულად მოტეხილი ქვებია ერთიმეორეზე დამაგრებული. ამ ნაშრომში ჩვენ განვიხილავთ აფხაზურ დოლმენს. რომელიც დღეს თბილისის ეთნოგრაფიულ მუზეუმშია განთავსებული.

ენეოლითისა და განსაკუთრებით ადრებრინჯაოს ხანაში მთელ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთსა და მიმდებარე ბორცვიან ზოლში ერთგვაროვანი კულტურა იყო გავრცელებული. ძნელია ამ კულტურის მატარებელი ტომების ეთნიკური ვინაობის განსაზღვრა, მაგრამ არქეოლოგიური მასალების მიხედვით, ეს ტერიტორია იმ დროს ერთი ტომით თუ არა, ერთმანეთის მონათესავე ტომებით

უნდა ყოფილიყო დასახლებული. ამ ერთგვაროვან კულ-ტურაში ლოკალური რეგიონები გამოიყოფა.

აფხაზეთი სწორედ ერთ-ერთ ასეთ თავისებურ ლო-კალურ რეგიონს წარმოადგენს, რომლის ძირითადი და-მახასიათებელი და განმასხვავებელი ნიშანი არის დოლ-მენები. ძვ. წ. III ათასწლეულის შუახანებს განეკუთვნება ადრეული დოლმენები, რომლებიც პატარა ზომებით გა-მოირჩევა. როგორც ზღვასთან ახლოს, ასევე მთის ზოლ-ში (ეშერა, აზანთა, ოთჰარა, შრომა, აჭანდარა, გორანა, ყულანურხვა, დოუს უღელტეხილი, მდ.ფსოუს ხეობა და სხვ.).

არქეოლოგიურად ყველაზე უკეთ შესწავლილია ეშერის დოლმენები. აფხაზეთის დოლმენები აგებულია ოთხ-ო-თხი ვერტიკალურად დაყენებული მასიური ბრტყელი ქვისაგან და ასეთივე ქვითაა გადახურული (ცალკეული ქვების წონა 50 ტონას აღემატება). ზოგ დოლმენს იატა-კადაც ქვის ფილა აქვს. აფხაზეთის დოლმენების გეგმა ტრაპეციის ფორმისაა, წინა ფართო კედელში, რომელიც უპირატესად მიქცეულია სამხრეთით ან სამხრეთ-აღმოა-ვლეთით, გამოჭრილია 0,4 დიამეტრის მრგვალი ხვრელი. ხვრელი ქვის საცობით იხურებოდა. გვერდი სამხრეთით კედლებსა და იატაკის ქვებზე სიმკვრივისათვის ხშირად ნარიბანდებია ამოკვეთილი, კედლების გასწვრივ გარე-დან კი დიდი ქვებია შემოწყობილი.

აფხაზეთის დოლმენები საგვარეულო სამარხები უნდა ყოფილიყო, დაკრძალვის წესი ზუსტად არ არის დადგე-ნილი-მიცვალებულთა ძვლები უწესრიგოდაა მიმოფა-ნტული ან კუთხეებშია მიყრილი. დოლმენებში გარდა უწესრიგოდ მიმოფანტული ძვლებისა, აღმოჩენილია შუბის წვერები, სხვადასხვა სამკაულები, ბრინჯაოს ყუ-ადაქანებული ცულები, კავები, ფოთლის მოყვანილობის შუბისა და სატევრის პირები, საკინძები, თიხის ჭურჭელი და სხვა.

აფხაზეთის უძველესი დოლმენები ადრეული ბრინჯა-

ოს ხანისაა. მათი მშენებლობა ძვ. წ. III ათასწლეულის II ნახევარში დაიწყო. ამ ხანის აფხაზეთის დოლმენები მომცრო და ტლანქად ნაგებია, შუა ბრინჯაოს ხანის დოლმენები, ძვ.წ. II ათასწლეულის I ნახევარში, უფრო მოზრდილი და უკეთ ნაგებია. აქ აღმოჩენილია ბრინჯაოს ყუამილიანი ცულები და მათი მინიატურული მოდელები, ფოთლისებრი სატევრები, ცხვრის თავის გამოსახულებებით შემკული ცულის ყუის დამატებითი მასრები, „რქიანი“ ჩიტების გვერდგახვრეტილი ქანდაკებები, მძივები, თიხის ჭურჭელი და სხვა. აფხაზეთის დოლმენებს დასაკრძალავად უფრო გვიანაც იყენებდნენ. ზოგიერთ დოლმენში აღმოჩენილია გვიანი ბრინჯაოსა და მისი მომდევნო ხანის ნაკეთობანიც.

დოლმენი კოლექტიური საგვარეულო სამარხია. მასში მეორეული დამარხვის წესი იყო გამოყენებული. მიცვალებულებს ხეებზე კიდებდნენ და დროთა განმავლობაში ხორცისაგან განთავისუფლებული ძვლები დოლმენში წინა ხვრელით შეჰქონდათ. ადრებრინჯაოს ხანას მცირე და საშუალო ზომის დოლმენები განეკუთვნება, დიდი ზომის დოლმენები უკვე მომდევნო ხანაშია აგებული და გვიანბრინჯაოს ეპოქამდე იყო გამოყენებული.

მიცვალებულის დაკრძალვისა და პატივგების აფხაზურ ტრადიციას აღწერს მე-17 ს-ის იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი წიგნში „სამეგრელოს აღწერა“, ეს ტრადიცია აისახა „არგონავტიკაში“, მე-17 ს-ში კი სახეცვლილი ფორმით, როგორც გაირკვა, აფხაზეთში შემორჩენილიყო: „აფხაზები ცხედარს საგანგებოდ ამოღარულ მორში ჩადებდნენ და ვაზის მაგარი ლერწებით ხის კენწეროზე დაკიდებდნენ. იმავე ხეს ჰკიდებდნენ ყველა საომარ იარაღს, რომელთაც გარდაცვლილი ადამიანი სიცოცხლეში იყენებდა. მიცვალებულს მისივე ცხენს სწირავდნენ. ისინი მას აბრეშუმის ქსოვილს გადააფარებდნენ და ხესთან არბენინებდნენ. ჭირისუფლები და გულშემატკივრები ცხენს მანამ აჭენებდნენ, სანამ დაქა-

ნცული ცხენი არ წაიქცეოდა და მოკვდებოდა“.

თვითონ არქანჯელო ტრადიციას შესანიშნავს უწოდებს და აღნიშნავს, რომ იგი სხვა ერს არ გააჩნია. თუმცა მისიონერი არ ახსენებს დოლმენებს, რაც გვაფიქრებინებს, რომ ამ დროისთვის დოლმენი უკვე აღარ გამოიყენება ან სხვა სახელით მოიხსენიება.

დოლმენის წარმოშობა დაკავშირებულია ძველი ხალხის ამინისტიკურ ფსიქოლოგიასთან. რომლებიც აცოცხლებდნენ არასულიერ ბუნებას და ქმნიდნენ ქვის კულტს. მეცნიერთა აზრით, ქვის კულტის წარმოშობა დაკავშირებულია ადამიანის ქვისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულებით. პირველყოფილი ადამიანის მიერ ქვის უკვდავყოფის მიზეზი მის მიერვე აღიარებული ქვის სიმყარე და სიმძლავრეა, ის იყო იდუმალი და მარადიული. ბერძნებიც, ელინისტურ ხანაში პატივს მიაგებდნენ ქვის ლოდებს, ეთაყვანებოდნენ მას, მიმართავდნენ თხოვნითა და ლოცვით.

დოლმენები ასე შენდებოდა: წინასწარ მზადდებოდა ჰორიზონტალური მოედანი, ირგვლივ ოვალური ორმოებით შემოსაზღვრული, გვერდითი და წინა მხარისათვის. ორმოები მდინარის ქვებით ივსებოდა, მოედანზე იდგმებოდა იატაკის ფუნქციის მატარებელი ფილა, რომლის ოთხივე მხარის ღარებში ჯდებოდა დოლმენის ტრაპეციული კედლები, გვერდით ღარიან კედლებში წინა და უკანა კედლები ჯდებოდა , გვერდითი კედლები გარედან მაგრდებოდა ქვის ლოდებით, რათა არ ჩამოცურებულიყო და თავსდებოდა წინასწარ ამოთხრილ ორმოებში სახურავიც დაღარული იყო რათა გადახურვა ადვილი ყოფილიყო. შენობის სამი კედელი ,წინა ფასადის გარდა, გარედან იფარებოდა, კედლის სიმაღლის ქვა-ყრილებით, რომლის ნაწილს მშენებლბის დამთავრების შემდეგ იღებდნენ.

ზომების მიხედვით დოლმენებში გამოიყოფა სამი ჯგუფი: მომცრო, საშუალო, მოზრდილი. ადრეულია მო-

მცრო, პატარა და ტლანქი, უფრო კვადრატული ფორმის, ინვენტარიც არქაულია (მე-3 ათასწლეულის შუა ხანები), ჩრდილო- დასავლეთ კოლხეთში ქვის ფილებისაგან შეკრული ყუთი -სამარხი საკმაოდ ადრე ჩნდება. ეშერის, ოთხარისა და ხუაპის დოლმენები ადრეული პერიოდისაა. პატარა და საშუალო ზომის დოლმენები ადრებრინჯაოს პერიოდისაა. საშუალო ზომის დოლმენები ტრაპეციის ფორმისაა, იგი იგებოდა ყორღანის შუა ნაწილში, რომლის წინ იყო ქვებისგან ნაგები, ე. წ. მცირე ეზო, დოლმენსა და ამ მცირე ეზოს თუ დერეფანს გარს ერტყა ბლოკებისაგან შეკრული წრე, წრის ქვების სიმაღლე თითქმის უტოლდებოდა დოლმენის სახურავს, დოლმენს წინა ფასადზე ჰქონდა წინასწარ გაკეთებული მოზრდილი ხვრელი ანუ დოლმენის შესასვლელი, რომელიც ყოველთვის სამხრეთით ან სამხრეთ-აღმოსავლეთითაა მოქცეული.

საშუალო ზომის დოლმენები თარიღდება ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანებით. ასეთი სახისაა აზანთის, სულის, ოთხარის, ეშერის დოლმენები, სადაც ძვლებთან ერთად აღმოჩნდა დიდი ზომის ბირთვისებრი, კასრისებრი, კონუსური, წვრილი და ბეჭდისებრი ბრინჯაოს, სარდიონის და ქვის მძივები, ოვალური ფორმის ობსიდიანის საკიდები და სხვა.

ეშერის დოლმენების ქვედა ფენა ისტორიკოსმა ოთარ ჯაფარიძემ ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრით ანუ შუა ბრინჯაოს ხანის დასასრულით დაათარიღა. ამავე პერიოდისაა აზანთისა და სულის დოლმენები. ოთხარის დოლმენები ძვ. წ. II ათასწლეულის II ნახევრით თარიღდება. შუა ბრინჯაოს პერიოდიდან დოლმენური კულტურა თანდათანობით კარგავს თავის აქტიურობას, როგორც კულტურა, მაგრამ სამარხად მისი გამოყენება რაღაც პერიოდის განმავლობაში კიდევ ხდება და მას თანდათან ცვლის კრომლეხი, დაკრძალვის ანალოგიური წესით. სამარხიდან ქრება ქვის ფილებიანი ქვაყუთები, დოლმენებსა და კრომლეხებში განვითარება პოვა კაცობრიო-

ბის არქიტექტურულმა იდეებმა.

თუმცა შეინიშნება გენეტიკური კავშირი დაკრძალვის რიტუალსა და სამარხულ ინვენტარში,. როცა მოსახლეობის ნაწილი ტოვებს ბარის ტერიტორიას, ხდება ამ დოლმენური, მოსახლეობის ნაწილის გადაადგილება მთის ზოლისაკენ. ამის საბუთად გამოდგება ბრილის სამაროვანზე გათხრილი ერთი აკლდამა, რომელიც ნაგებია მშრალი წყობით თიხა-ფიქალით ნაგები ქვებიდან. თავისი არქიტექტურული დეტალებით, დაკრძალვის რიტუალით და სამარხეული ინვენტარით (ძირითადად სამკაულით) იგი იმეორებს აფხაზეთის დოლმენების გვიანდელ ფენებსა და შუაბრინჯაოს ხანის დასასრულის ზოგიერთ კომპლექსს (ღარი, თლი, საჩხერე, ნული). განსაკუთრებული მსგავსება შეინიშნება ზემო რუთხის #16 სამარხთან, რომელიც ნაგებობით, დაკრძალვის წესითა და ინვენტარით იმეორებს ბრილის აკლდამას. მისი შედარება ბრილისა და თლის კომპლექსებთან გვიჩვენებს, რომ იგი გარდამავალი პერიოდის ძეგლებთან უნდა იქნეს გაერთიანებული და მისი ზედა საზღვარი ძვ. წ. XIV საუკუნის საწყისზე მოგვიანო არ უნდა იყოს. ამავე დროს, ზემო რუთხის #16 სამარხის ქვედა ზღვარი ძვ. წ. XII საუკუნის ქვემოთ არ მიდის. ამგვარად, ისახება გზა აფხაზეთის დოლმენებიდან რაჭის გავლით ყობანის ტერიტორიაზე. არქეოლოგიურად დადასტურებული ეს მოვლენა გვიჩვენებს სამხრეთულ იმპულსებს და ნოვაციებს, რომელსაც ადგილი აქვს ჩრდილოეთ კავკასიაში. ფაქტობრივად ეს არის სამხრეთული გავლენის გავრცელების პირველი საფეხური, რომელიც ზემოთ აღნიშნულ ეთნოკულტურულ ძვრებთან არის დაკავშირებული. ამ გარემოებას კი გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ყობანური კულტურის სამხრეთული ფესვების ძიების საქმეში. ამრიგად, დოლმენთა აგებულებისა და შიგთავსი მასალის შედარებამ ცხადი გახადა, რომ აფხაზეთის დოლმენები უფრო ადრეულია, ვიდრე ჩრდილოეთ კავკასიისა.

რადგან აფხაზეთის ტერიტორიაზე ადამიანის ცხოვრების კვალი, შესაბამისად, დოლმენური კულტურა, დადასტურებულია ქვედა პალეოლითის პერიოდიდან. საფიქრებელია, რომ ამ პერიოდისაა იაშთხვის სადგომი და გუმისთის დოლმენები.

ამრიგად, დღეს, როდესაც გლობალიზაცია ხელს უწყობს ჩვენი ქვეყნის ისტორიისა და კულტურის დავიწყებას, არქეოლოგიური ძეგლების გაცნობა და შესწავლა თითოეული ჩვენგანის პატრიოტული ვალია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა. ლ. ასათიანის რედაქციით. თბ., 1938.
2. ო. ჯაფარიძე. დოლმენური კულტურა საქართველოში. თსუ შრომები ტ. 77, თბ., 1959.
3. მ. ბარამიძე. დოლმენი. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 2, თბ., 1977, გვ. 30.
4. https://ka.wikipedia.org
5. http://www.nplg.gov.ge

გარეკანზე:

წინა გვერდზე - **ბედიის მონასტერი. X საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლი**

უკანა გვერდზე - **ქვა-ყუთოვანი სამარხი ნაგებობა - ე. წ. კავკასიური დოლმენი, რომელიც ძვ. წ. III-II ათასწლეულებით თარიღდება და ინახება სოხუმის ისტორიის მუზეუმში, ღია ცის ქვეშ.**